ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

უკრაინაში ქართველი კანონიერი ქურდი დავით გერლიანი მეოთხედ დააპატიმრეს

გვ.5

26 ნოემბრიდან

იაკობ გოგებაშვილი

საგანძური

ფასი გაზეთთან ერთად 14 ლარი

ორშაბათი, 2 დეკემბერი, 2019 | №285 (8239) | ფასი: 60 თეთრი

გიგა მაქარაშვილი: „მოსამართლემ საქართველოს ჰიმნის მღერა არ მაპატია“

„ვადამდელი არჩევნები პროპორციული სისტემით აუცილებლად იქნება“

გვ.3

გურამ ჩალაგაშვილი: „გაგრძელდება პიკეტირება, დაბოიკოტება, სირცხვილის დერეფნები“

გვ.3

ხათუნა ლაგაზიძე: „ოცნებას“ დასავლეთი დათმობებზე წასვლას აიძულებს

დღეს „ოცნების“ გადარჩენის ერთადერთი ფორმატია, რომ ნაციონალური მოძრაობისგან კვლავ საფრთხე შექმნას

„ლელო, უსუფაშვილი და ახალი მემარჯვენეები მესამე ძალად შეიძლება ჩამოყალიბდეს“

ვახტანგ ძაბირაძე: „მათი ამომრჩეველი ცოტა კაპრიზულია“

გვ.4

გიორგი გუგავა: „ოცნებას“ ოპოზიციაში არეულობის შეტანა უნდა“

გვ.3

ნიკა გვარამია საქართველოდან წასვლაზე ფიქრობს?

გვ.2

ISSN 1987-9385

2 მხედრიონისა და კიტოვანის გვარდიის ვეტერანები ოპოზიციას ემუქრებიან

5 ვისი მუთოშვილის მკვლელობისთვის არბი ქავთარაშვილი და რამაზ ხანგოშვილი დააკავეს

2 გია ვოლსკი: „ქუთაისში ნაცმოძრაობის ოფისთან მომხდარი ინციდენტი ნაციონალებს ანყობთ“

5 ახლობლის მანქანის გაყიდვისთვის ბათუმში ო.ა. დააკავეს

ნიკა გვარამია საქართველოდან წასვლაზე ფიქრობს?

პროკურატურა: „ჩვენი ნებართვის გარეშე გვარამია ქვეყნიდან ვერ გავა“

გუშინ, 1 დეკემბერს, ნიკა გვარამიამ ფეისბუქში დაწერა:

„მეგობრებო,

დღეს, ძალიან საინტერესო პოსტ ფაქტუმის შემდეგ, უყურეთ „მთავარ აქცენტებს“.

ჩემს გადაცემაში, ჩემი ოჯახის და ჩემი სახელით, გავაკეთებ განცხადებას ქვეყნის დატოვებასთან დაკავშირებით ჩვენს მიერ ერთად მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე. სწორედ ერთად მიღებულ, და არა ჩემს მიერ ერთპიროვნულად, როგორც აქამდე ხდებოდა და რაც უსამართლოც იყო და ა პრიორი არასწორიც.

უყურეთ, თუ თქვენთვის საინტერესოა ჩვენი უახლოესი გეგმები და სამომავლო ნაბიჯები.

წინასწარ გიხდით მადლობას ინტერესისა და გულშემატკივრობისთვის.

შევხვდებით საღამოს, პოსტ ფაქტუმის შემდეგ“.

გვარამიას ეს პოსტი საზოგადოების დიდმა ნაწილმა მის მიერ საქართველოდან წასვლის გადაწყვეტილებად აღიქვა.

საქართველოს გენერალურ პროკურატურაში ინტერპრესნიუსს უთხრეს, რომ ნიკა გვარამიას გენერალური პროკურატურის ნებართვის გარეშე ქვეყნის დატოვების უფლება არ აქვს.

თბილისის საქალაქო სასამართლომ 11 აგვისტოს ნიკა გვარამიას აღკვეთის ღონისძიების სახედ გირაო შეუფარდა. გარდა ამისა, სასამართლოს გადაწყვეტილებით, „რუსთავი 2?-ის ყოფილ გენერალურ დირექტორს ეკრძალება გენერალური პროკურატურის გაფრთხილების გარეშე ქვეყნის დატოვება.

ამასთან, თბილისის სააპელაციო სასამართლომ ადვოკატ დიმიტრი საძაგლიშვილის სააპელაციო საჩივარი, გასაჩივრების კანონით დადგენილი ვადის დარღვევის გამო, დაუშვებლად ცნო. ადვოკატი საძაგლიშვილი სააპელაციო საჩივარში ნიკა გვარამიას მიმართ 2019 წლის 11 აგვისტოს თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინებით შეფარდებული აღკვეთის ღონისძიების გირაოს და დამატებითი შეზღუდვის ღონისძიების გაუქმებას ითხოვდა.

ნიკა გვარამიას გენერალურმა პროკურატურამ ბრალი 9 აგვისტოს წარუდგინა. პროკურატურის ინფორმაციით, „გამოტანილია დადგენილება ნიკა გვარამიას ბრალდების შესახებ, საქართველოს სსკ-ის 220-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის, რაც გულისხმობს საწარმოში ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გამოყენებას ამ ორგანიზაციის კანონიერი ინტერესის საწინააღმდეგოდ, სხვისთვის გამორჩენის მიღების მიზნით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

გამოძიებით დადგენილია, რომ ნიკა გვარამიას მიერ საწარმოს ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებით „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“-მა ვერ მიიღო 6.763.510 ლარი, რითაც საწარმოს დიდი ოდენობით ზიანი მიადგა“.

გია ვოლსკი: „ქუთაისში ნაცმოძრაობის ოფისთან მომხდარი ინციდენტი ნაციონალებს აწყობთ“

– ნებისმიერი შეხლა-შემოხლა, ჯახი, ადამიანების გარკვეული ჯგუფის გამოსვლა, რომელი მხრიდანაც არ უნდა იყოს, აწყობთ ნაციონალურ მოძრაობასა და მის განშტოებებს.

ასე ეხმიანება პარლამენტის პირველი ვიცესპიკერი გია ვოლსკი „ინტერპრენსიუსთან“ საუბრისას ქუთაისში, ნაციონალური მოძრაობის ოფისთან მომხდარ ინციდენტს.

– საერთოდ, ეს ბლოკირება, თავდასხმა არის კანონდარღვევა და პოლიცია მოქმედებს შესაბამისად, ვისი მომხრეებიც არ უნდა იყვნენ ისინი. რაც შეეხება იმას, რომ ვიღაც სადღაც მუშაობს, მათ რა უნდათ – უმუშევრები იყვნენ? ზოგი შეიძლება მართლაც მუშაობს, სტუდენტია, ბიზნესმენია და ოპოზიციას უნდა საინფორმაციო საშუალებების ყურადღების გადატანა იმაზე, თუ რა კატეგორიის ხალხია გამოსული მათი ოფისების საწინააღმდეგოდ, თუნდაც ცოცხების – მათი სიმბოლოს დემონსტრირებით, მაგრამ რეალურად შინაარსზე არ აკეთებს არავინ ყურადღებას – განა ცოტა იყო ადამიანი, რომელთა კისერზე გადაიარა სასტიკმა რეჟიმმა, რომელსაც ის ხალხი წარმოადგენს, ვინც ახლა ოფისებში ზის ან ბლოკირებას აკეთებს სახელმწიფო დაწესებულებების.

მე არავის ვამართლებ, კანონდარღვევა აბსოლუტურად დაუშვებელია, – განაცხადა გია ვოლსკიმ.

ოპოზიციის თქმით, ქუთაისში მომხდარი ინციდენტის დროს პოლიცია უმოქმედო იყო და დაკავებული არავინ არის.

– ისინი რას აცხადებენ, ერთია და თქვენ რა ინფორმაცია გაქვთ? მე პასუხი რატომ უნდა გაგცეთ? აგერ სატელევიზიო გადაცემებია, თქვენი კორესპონდენტი გყავთ, დაასახელეთ ადამიანი, ვინც კანონი დაარღვია, გადასცდა მას, ფიზიკური ზემოქმედება მოახდინა ან პოლიციელს ჩაარტყა თავში.

ვაშაძე, მაგალითად, როცა პოლიციელს ურტყამს და პასუხს არ სთხოვენ, გაჩერებულია ბევრი, მათ შორის სახალხო დამცველიც. მე არც არავის ადვოკატი არ ვარ. თუ ვინმე ჩვენი მომხრეა, იმათ მოვუწოდებთ, რომ ნუ წავლენ იმ სცენარით, რაც ნაციონალურ მოძრაობის გეგმას აღასრულებს და მეორე საკითხი, აბსოლუტურად აუცილებელი არ არის, რომ „ქართული ოცნების“ მხარდამჭერი იყოს. ადამიანები არიან, ვინც არც არავის მხარდამჭერია, არც არავის ხათრით გამოდის. თუნდაც „ქართული ოცნების“ მხარდამჭერი იყოს – ადამიანები ინდივიდები არიან, მათი გამოსვლა იმან კი არ განაპირობა, რომ „ქართული ოცნება“ ხელმძღვანელობს ამას,

კარგად დაუფიქრდით ამას. ხალხში შემოდის ინფორმაცია, რომ თითქოს „ქართული ოცნება“ უკეთებს ამას ორგანიზებას, ამ დროს, პირიქით, ყველას მოვუწოდებთ, რომ თემა, რასაც ჰქვია ჯახი საზოგადოების, არის ის, რასაც ნაციონალური მოძრაობა გეგმავს, აკეთებს და უკეთებს ამას სერიოზულ ორგანიზებას – მე ვფიქრობ, გარკვეული თანხებითაც, რომელიც, ალბათ, მოსაძიებელია, როგორი გზებით მოსდით და როგორ შეუძლიათ ამის ორგანიზება, რაც სერიოზული კანონდარღვევაა, – დასძინა გია ვოლსკიმ.

გიორგი ვაშაძე: „მოლაპარაკებების მეორე რაუნდიც შედგება და მესამეც“

– ვფიქრობ, რომ მოლაპარაკებების მეორე რაუნდიც შედგება და მესამეც – ფორმატში დისონანსი შემოიტანეს და ამით უნდოდათ ჩვენ მხარეს დაბნეულობა. ეს ვერ მოხდება.

ამის შესახებ „ახალი საქართველოს“ ლიდერმა გიორგი ვაშაძემ მედიასთან ოპოზიციის წარმომადგენლების შეხვედრამდე განაცხადა.

მისი თქმით, 30 ნოემბრის შეხვედრაზე საერთაშორისო საზოგადოებამ დაინახა, რომ ოპოზიცია არის კონსტრუქციული, ხოლო ხელისუფლება – დესტრუქციული. რაც შეეხება ოპოზიციის შემუშავებულ საარჩევნო მოდელს, ვაშაძის თქმით, კანონპროექტი არის კონსტიტუციური, ხელისუფლება კი „თუთიყუშივით იმეორებს, რომ კონსტიტუციას არ შეესაბამება“.

– „ქართულმა ოცნებამ“ რომ იცოდეს, ყველა მისი მოქმედება, რასაც ისინი აკეთებენ, უკვე წინასწარ განჭვრეტადია და სამოქმედო გეგმით, რომელიც მაქვს, შევალ ოპოზიციაში და ჩვენს სტრატეგიას გავაგრძელებთ. დიპლომატების შუამდგომლობით გამართული შეხვედრა დიდი გამარჯვებაა, რადგან იძულება მოხდა „ქართული ოცნების“ , რომ სამუშაო შეხვედრაზე დამსხდარიყვნენ.

ქუთაისის საკითხზე ვიტყვი, რომ ისინი არიან მოძალადეები, ჩვენ მშვიდობიანი პროტესტით ვუპასუხებთ ამას.

პოლიციის კორდონით აკეთებენ ამ ყველაფერს, პოლიცია ყოველთვის ჩვენს უფლებებს არღვევს, მაგრამ ჩვენ დავიცავთ კანონს აუცილებლად და ყველა ძალადობას მშვიდობით ვუპასუხებთ.

ჩვენკენ არის სიმართლე. სამოქმედო გეგმაზე შევთანხმდებით და ვიმუშავებთ, რომ საბოლოო შედეგზე გავიდეთ, – განაცხადა გიორგი ვაშაძემ.

მხედრიონისა და კიტოვანის გვარდიის ვეტერანები ოპოზიციას ემუქრებიან

პოლიტიკური პარტიები და ექსპერტები ყოფილი მხედრიონისა და კიტოვანის გვარდიის ვეტერანების ვიდეომიმართვას აპროტესტებენ.

სოციალური ქსელით გავრცელებულ ვიდეომასალაში რამდენიმე პირი იმუქრება, რომ ოპოზიციის მშვიდობიანი პროტესტის წინააღმდეგ ძალადობრივ და შეიარაღებულ ქმედებებს წამოიწყებენ. მესამე სექტორის წარმომადგენლები და პოლიტიკოსები აცხადებენ, რომ საგანგაშოა კონტრაქციებისა და კონტრმოქმედებების დაგეგმვა, რომელიც სახელმწიფოს აზიანებს.

– ესენი არიან კიტოვანისა და ჯაბა იოსელიანის მიერ დაგეშილი ადამიანები, რომელთა იარაღით ქუჩაში გამოსვლა ქვეყანას ერთხელ ძალიან მძიმედ დაუჯდა, მათ კისერზეა საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობა, დანგრეული თბილისი, აწიოკებული სამეგრელო და მტრისთვის ჩაბარებული აფხაზეთი. ამიტომაც ეს ხალხი ქუჩაში კი არ უნდა გამოდიოდეს, ჩვენ რომ ქვეყანა ვიყოთ, ბრალდებულის სკამზე უნდა ისხდნენ და პასუხს აგებდნენ ქვეყნის წინაშე ჩადენილი დანაშაულის გამო, – განაცხადა პარტია „თავისუფალი საქართველოს“ თავმჯდომარე კახა კუკავამ.

„გაბედეს“ წევრებმა თბილისის სასამართლოს ეზოსთან ლობიო დათესეს

მოძრაობა „გაბედეს“ წევრებს თბილისის საქალაქო სასამართლოს მანდატურებმა სასამართლოს ეზოში ლობიოს დათესვის საშუალება არ მისცეს, თუმცა, წინააღმდეგობის მიუხედავად, მათ მაინც შეძლეს გარკვეულ ტერიტორიაზე მარცვლების მიმობნევა.

ამის შემდეგ მოძრაობის წევრებმა ლობიო თბილისის სასამართლოს ეზოს გარეთ დათესეს.

– ფილიშვილებისთვის, ჩინჩალაძისთვის და ყველასთვისაა დათესილი ეს ლობიო იმის ნიშნად, რომ სასამართლო სისტემაში სამართალი აღარ მოიძებნება და იმართება ბიძინა ივანიშვილის მიერ, – აღნიშნა ერთ-ერთმა აქტივისტმა.

მისი თქმით, ყველა ადამიანს, ვინც გავა და შემოვა სასამართლოში, ამ ლობიოს პლანტაციების გავლა მოუწევს.

აქტივისტების განმარტებითვე, სასამართლოს მანდატურებმა მათ თავდაპირველად განუცხადეს, რომ ლობიოს დათესვაში ხელს არ შეუშლიდნენ, თუმცა დათესვის დროს წინააღმდეგობა მაინც გაუწიეს.

– ჩვენ არ გვაძლევენ საშუალებას კანონის ფარგლებში ვიმოქმედოთ. რომელ კანონს ვარღვევთ, განგვიმარტეთ, – მიმართა მანდატურს აქტივისტმა, რაზეც მანდატურები პასუხობდნენ, რომ „არ იყვნენ ვალდებულები, რამე აეხსნათ“.

აკაკი ცომაია: „საქართველოს ეკონომიკა ინერციით იზრდება“

„საქართველოს ეკონომიკა ინერციით იზრდება“, – ეს განცხადება ექსპერტმა ეკონომიკის საკითხებში აკაკი ცომაიამ ბიემჯისთან ოქტომბერში დაფიქსირებული 5.7%-იანი ეკონომიკური ზრდის შეფასებისას გააკეთა.

– უკანასკნელი წლების განმავლობაში 5%-იანი საშუალო ეკონომიკური ზრდა ფიქსირდება, ასე რომ, აქ მოულოდნელი არაფერია; 5% არის ეკონომიკური ზრდის ის ტემპი, რაც ჩვენნაირ განვითარებად ქვეყანას უნდა ჰქონდეს იმ შემთხვევაში, თუ სიახლეებს და ინოვაციებს ეკონომიკაში ადგილი არ აქვს. ეს ნიშნავს, რომ ეკონომიკაში ახალი არაფერი ხდება და ის ინერციით იზრდება, – განაცხადა აკაკი ცომაიამ.

ამასთან, ექსპერტის აზრით, 5%-იანი ზრდაც სახელმწიფოს ინფრასტრუქტურული პროექტების ხარჯზეა შენარჩუნებული და, რომ არა ეს ფაქტორი, ეკონომიკის ზრდის მაჩვენებელი უფრო დაბალი იქნებოდა.

– როგორც ჩანს, ინფრასტრუქტურული პროექტების რაოდენობამ იმატა, თუმცა აქ გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნულ პროექტებში ხდება ნასესხები თანხის ინვესტირება, – დასძინა ცომაიამ.

ექსპერტი 2020 წელსაც ეკონომიკაში კვლავ ინერციულ ზრდას ელოდება, თუმცა გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკის გათვალისწინებით, ფიქრობს, რომ მომავალ წელს საქართველოს ეკონომიკის ზრდის ტემპი 5%-ზე დაბალი იქნება.

– მიმდინარე წლის ბოლო 2 თვეში ინფლაციის მაჩვენებელი დაკორექტირდება; არ გამოვრიცხავ, რომ მონეტარული პოლიტიკა კიდევ უფრო გამკაცრდეს, – აღნიშნა აკაკი ცომაიამ.

საქსტატის წინასწარი შეფასებით, 2019 წლის 10 თვეში საქართველოს ეკონომიკის საშუალო ზრდამ 5.1% შეადგინა, უშუალოდ ოქტომბერში კი – 5.7%.

2020 წლის ბიუჯეტის კანონის ახალ პროექტში მთავრობამ ეკონომიკური ზრდის პროგნოზი შეამცირა. 2020 წლის ბიუჯეტის მესამე გადამუშავებულ ვარიანტში ეკონომიური ზრდა 4.5%-ზეა ნავარაუდევი, რაც ბიუჯეტის მეორე წარდგენის დოკუმენტთან შედარებით 0.5%-ით შემცირებული მაჩვენებელია.

მანამდე 5% იყო ნავარაუდევი 2020 წლისთვის.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
სარეკლამო სამსახური – 294-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი: 294-06-91
ვებგვერდი: www.akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

გიორგი გუგავა: „ოცნებას“ ოპოზიციაში არეულობის შეტანა უნდა“

„მშვიდობიანი აქციები უფრო მწვავე გახდება“

მარიამ მჭედლიშვილი

რა ხდება ოპოზიციაში შაბათის შეხვედრის შემდეგ, რომელიც საერთაშორისო პარტნიორების მონაწილეობით გაიმართა? უნდა იყოს თუ არა ჩართული მოლაპარაკებებში ქუჩაში გამოსული სამოქალაქო სექტორი? მოახერხეს თუ არა პროტესტანტებმა საზოგადოების დაინტერესება? — ამ საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთ ლიდერ გიორგი გუგავას.

– შაბათის შეხვედრის შემდეგ „ქართული ოცნების“ აქტივმა კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ თქვენ მიერ შემოთავაზებული ე.წ. გერმანული საარჩევნო მოდელი არ შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციას.

– ეს განცხადება უსაფუძვლოა და წარმოადგენს ხელისუფლების წარმომადგენლების საკუთარ შეხედულებებს. ჩვენ არ ვთავაზობთ კლასიკურ გერმანულ მოდელს. ჩვენ ვაყენებთ საქართველოსთან მისადაგებულ ვარიანტს. ის მორგებულია კონსტიტუციაზე და არ საჭიროებს საკონსტიტუციო ცვლილებებს.

ობიექტურ დასკვნას ამ პროექტზე დადებს ვენეციის კომისია და ეუთოს შესაბამისი სტრუქტურა. ხელისუფლება ამაზეც უარზეა. არ უნდა, რომ ეს პროექტი ამ ორგანიზაციებს გადაეგზავნოთ. ამით „ქართული ოცნება“ აგრძელებს თავის დესტრუქციულობას.

– „ქართული ოცნება“ დესტრუქციულად მოქმედებს?

– რასაკვირველია. ის ისევ უარს ამბობს დანაპირებზე, რომელიც სისხლით არის მოპოვებული. რამდენიმე თვის წინ პარლამენტთან დიდი საპროტესტო აქციები იყო, სადაც ჩვენი მოქალაქეები დაარბიეს. ადამიანები მძიმედ დაშავდნენ. ხელისუფლება მაშინაც დესტრუქციული იყო, როცა პროპორციული არჩევნების კანონპროექტი ჩააგდო და ახლაც ასეთია.

– რით ხსნით ხელისუფლების ასეთ საქციელს?

– ამ ადამიანებს არ უნდათ სამართლიანი, დემოკრატიული არჩევნები. მათი სურვილია, გააგრძელონ ხელისუფლებაში ყოფნა და მისი ძარცვა. ისინი აპირებენ არჩევნების გაყალბებასა და იმ სისტემის დატოვებას, რომელიც პარლამენტში მეტ დაუმსახურებელ მანდატს მოუტანს.

ყველამ გავიგეთ, როგორ ეპყრობა საკუთარ ხალხს „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე, ოლიგარქი ბიძინა ივანიშვილი. პირდაპირ გვეუბნება, თქვენ და თქვენი შვილები ვერასდროს დაიმკვიდრებთ ღირსეულ ადგილს საქართველოში, წადით და სამუშაო სხვაგან ეძებეთო. ხალხი ისედაც იძულებულია, ლუკმაპურის საშოვნელად უცხოეთში გადაიხვეწოს.

ბევრი უკვე წავიდა. ივანიშვილი დარჩენილებსაც ყრის. ამიტომ ვმართავთ საპროტესტო აქციებს და მოვითხოვთ სამართლიან არჩევნებს, რომ ეს სიტუაცია გამოსწორდეს, თორემ წმინდა ადგილი ცარიელი არ დარჩება. საქართველოში სხვები მოვლენ და სხვები დასახლდებიან.

– აღნიშნეთ, რომ მმართველი პარტია არ თანხმდება გერმანულ-ქართული მოდელის პროექტის ვენეციის კომისიასა და სხვა ორგანიზაციებში გაგზავნას. ოპოზიციამ რომ გააგზავნოთ ეს ინიციატივა?

– სწორედ ამას ვაპირებთ. ჩვენ ეს ჯერ „ქართულ ოცნებას“ შევთავაზეთ, უარი მივიღეთ და დანარჩენს ჩვენი ძალებით გავაკეთებთ. ვენეციის კომისიასა და ეუთოს ჩვენ თვითონ მივმართავთ.

– სამოქალაქო აქტივისტებს, კერძოდ, ორგანიზაცია „სირცხვილიას“ წარმომადგენელ შოთა დიღმელაშვილს უნდოდა ჩართვა შაბათის მოლაპარაკებებში.

– შოთა დიღმელაშვილისა და სხვების პრეტენზიები სამართლიანია. ისინი პროტესტის აქტიური ორგანიზატორები არიან და მოლაპარაკებებსა და კონსულტაციებში ისინიც უნდა იყვნენ ჩართული.

მათი პროტესტი ხელისუფლებამ გამოიწვია. მან მოიფიქრა ისეთი შეხვედრის ფორმატი, რომელიც გამოიწვევდა უთანხმოებას ოპოზიციის რიგებშიც, სამოქალაქო აქტივისტებშიც და სხვა ადამიანებშიც. ისეთი ვირეშმაკობა ჰქონდათ მოფიქრებული, რომელიც გამოიწვევდა არეულობას.

ეს ფანდი „ქართულ ოცნებას“ არ გაუვიდა. ჩვენ დროზე მივხვდით, რომ ამ ფორმატში „ქართული ოცნების“ ხრიკები იმალებოდა.

– თქვენი პარტნიორები ოპოზიციიდან ისევ აქციებს აანონსებენ.

– ჩვენ ყველანი ისევ ერთად ვართ და ერთად ვაგრძელებთ საპროტესტო აქციებს. მშვიდობიანი აქციები უფრო მწვავე იქნება. კონსტიტუციის ფარგლებს არ გადავამეტებთ.

– საზოგადოების მიყვანას რამდენად ახერხებთ აქციებზე? არსებობს აზრი, რომ ხალხს თქვენი მოთხოვნები არ ესმის.

– საზოგადოება მხარში გვიდგას. ხალხი აქციებზე დადის. ტყუილია, რომ საზოგადოებას ჩვენი მოთხოვნები გააზრებული არ აქვს. საზოგადოებამ იცის, რაც ხდება. 50.000 და 100.000 კაცის შეკრებაც შესაძლებელია, ოღონდ ეს იქნება რევოლუციური სიტუაცია. გვირჩევნია, ყველაფერი მშვიდობიანად განვითარდეს და მივიდეთ არჩევნებამდე. ამისათვის ხელისუფლებამ კეთილი ინებოს და გადადგას ნაბიჯები სამართლიანი, დემოკრატიული არჩევნების ჩასატარებლად.

– ცოტა ხნის წინ აირაის კვლევები გამოქვეყნდა. პარტიულ რეიტინგებში „ქართულ ოცნებას“ პირველი ადგილი უკავია. ამ მიმართულებით ბოლო დროს რამე შეიცვლებოდა?

– „ქართული ოცნების“ რეიტინგი ვერ გაიზრდება. ის ყოველდღიურად იკლებს. ასეთ კვლევებში ციფრები პირობითია. ერთი კითხვა მოსახლეობის პოზიტიურ განწყობას ეხებოდა. ჩვენ, ლეიბორისტებს, ამ გამოკითხვით, პოზიტიურ განწყობებში მეორე ადგილი გვიკავია. ახლა მთავარია არა რეიტინგები, არამედ, ცივილიზებული გზით არჩევნებამდე მისვლა და სამართლიანი არჩევნების ჩატარება.

– ვადამდელ არჩევნებსაც მოითხოვთ?

– მთავარ აქცენტს ვაკეთებთ იმაზე, რომ არჩევნები სამართლიანი სისტემითა და გამჭვირვალედ გაიმართოს.

გურამ ჩალაგაშვილი: „გაგრძელდება პიკეტირება, დაბოქლომება, სირცხვილის დერეფნები“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს გურამ ჩალაგაშვილი პასუხობს.

– ბატონო გურამ, ელჩების ინიციატივით გამართული შეხვედრა ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის უშედეგოდ დასრულდა. რა მოლოდინები გაქვთ?

– ხელისუფლებამ შეხვედრამდე კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ არაფერ შუაში არ არიან ვითომ ეს ამბოხებული დეპუტატები და პროპორციული სისტემის ჩაგდება იყო ბიძინა ივანიშვილის გადაწყვეტილება.

– ხისტია ოპოზიციაც და არც ერთი მხარე არ თმობს.

– „ოცნებამ“ კიდევ ერთი დიდი შეცდომა დაუშვა.

– რა შეცდომა?

– დიპლომატიურ კორპუსს, ოთხი ქვეყნის ელჩს პირდაპირ უთხრეს, რომ საქართველოს გზა დასავლეთისკენ აღარ მიდის და არც იქნება მანამ, სანამ ჩვენ ვიქნებით ხელისუფლებაშიო. მათი მიზანია, საქართველო იყოს რუსეთის გუბერნია.

– „ოცნებას“ აქვს არგუმენტი, რომ ხალხი ვერ გამოჰყავს ოპოზიციას.

– მათ თვალში ხედვის პრობლემაც აქვს და ყველა სიკეთესთან ერთად თვლაც არ იციან. 10 ათასობით ადამიანი იდგა ამ აქციებზე. აბა თვითონ რამდენი კაცი გამოჰყავთ? 30 კაცი რომ ჰყავდათ გამოყვანილი ქუთაისში, ეს იყო ბევრი?! ყველა მათგანი იყო საჯარო მოხელე! 30 კაცს ვერ მოუყარეს თავი ქუთაისში.

– ეს საკმაოდ ცუდი ტენდენციაა. საზოგადოების გახლეჩისა და სამოქალაქო დაპირისპირებისკენ ხომ არ მიჰყავთ სიტუაცია?

– ეს არის რუსული მეთოდი, ცდილობენ სამოქალაქო დაპირისპირების წარმოქმნასა და ამ სიტუაციის კიდევ უფრო გამძაფრებას. ვერის ბაღშიც შეკრიბეს 50 კაცი და ასე ცდილობენ, თავისი 30-50 კაციანი ჯგუფები შეკრიბონ და გვაჩვენონ, რომ თურმე მთელი საქართველოა აღშფოთებული.

ეს კიდევ უფრო დიდ აგრესიას იწვევს ხალხში. მათ რეალურად მხარდამჭერები აღარ ჰყავთ. გასული შაბათ-კვირა გავატარე ქუთაისში, უამრავ ადამიანს შევხვდი და ყველას აქვს აბსოლუტურად ერთნაირი განწყობა ამ ხელისუფლების მიმართ, ყველას მიაჩნია, რომ „ოცნება“ ამაზრზენი ხელისუფლებაა.

ის ხალხი, ვინც საღად აზროვნებს, ძალიან კარგად ხვდება, რას ითხოვს და რა უნდა ოპოზიციას. ჩვენ ვითხოვთ ერთადერთს, გვინდა სამართლიანი არჩევნები პროპორციული სისტემით, გვინდა, რომ გერმანულ მოდელს დასთანხმდეს ხელისუფლება.

– ანტიკონსტიტუციურიაო.

– არ არის ანტიკონსტიტუციური და ამაზე უკვე ისაუბრეს ამ საქმის სპეციალისტებმა. ხუნდაძემ და თალაკვაძემ უკეთესად იციან თუ ხმალაძემ და უსუფაშვილმა?!

– კიდევ თუ იგეგმება ელჩების შუამდგომლობით შეხვედრა?

– წინასწარ ვერაფერს გეტყვით, თუმცა, დიპლომატიური კორპუსის კომენტარებს თუ დავუკვირდებით, ისინი ძალიან მოზომილი იყო და გამოითქვა ვარაუდი, რომ ამას გაგრძელება უნდა მოჰყვეს, შეხვედრა კიდევ შედგეს და ამ პროცესმა რაღაც ლოგიკურ შედეგამდე უნდა მიგვიყვანოს.

ძალიან მეეჭვება, რომ ივანიშვილსა და მის დამქაშებს ჰქონდეთ იმის თავი, რომ დიპლომატიურ კორპუსს ასე უტიფრად შეხედონ თვალებში და უთხრან, რომ გამორიცხულია, არ დავთმობთ. ამას ვერ იზამენ!

– ანუ დასავლეთის ზეწოლა გაჭრის?

– სხვანაირად შეუძლებელია. მათ ან ეს ნაბიჯი უნდა გადადგან, ან პირდაპირ უნდა გვითხრან, რომ აქვთ ერთადერთი არჩევანი და ეს არის დედა რუსეთი.

– 9 დეკემბერს არის დაანონსებული დიდი აქცია. მანამდე რას გეგმავს ოპოზიცია?

– გაგრძელდება პიკეტირება, დაბოქლომება, სირცხვილის დერეფნები. აბსოლუტურად ყველგან შევუქმნით დისკომფორტს. არ გამოვრიცხავთ, რომ რეგიონებშიც გადავინაცვლოთ და ეს დღეები იქ გავაქტიურდეთ.

„ოცნება“ ამ ქვეყანას აქცევს, ამიტომ მათ მოუწევთ ასე ვირთხებივით ძრომიალი პოლიციისა და სპეცრაზმის დახმარებით.

გიგა მაქარაშვილი: „მოსამართლემ საქართველოს ჰიმნის მღერა არ მაპატია“

„ვადამდელი არჩევნები პროპორციული სისტემით აუცილებლად იქნება“

ნონა ცაბაძე

სამოქალაქო აქტივისტმა გიგა მაქარაშვილმა, რომელიც 12-დღიან სასჯელს იხდიდა, საპატიმრო დატოვა. რა პირობებში გაატარა ეს დღეები და როგორი გეგმები აქვს, ამის შესახებ გიგა მაქარაშვილი „ახალ თაობას“ ესაუბრა.

– გიგა, შაბათს ღამით დატოვეთ საპატიმრო. რა პირობებში იყავით ეს დღეები?

– პირობები იყო ძალიან კარგი. უბრალოდ, იყო პოლიტიკური გადაწყვეტილება, რომ ვყოფილიყავი ცალკე საკანში. მთელი 12 დღის განმავლობაში მარტო ვიყავი საკანში და ეს იყო ყველაზე ცუდი. კარგი ტემპერატურა იყო, ძალიან თბილოდა, ხალხი ძალიან კეთილად იყო განწყობილი. საჭმელსასმელი იმდენი მქონდა, რომ ვარიგებდი. უბრალოდ, ერთი სული მქონდა, გამოვსულიყავი, რადგან მელოდებოდა ჩემი ტომი რუსთაველზე.

– გიგა, შაბათის შეხვედრას, რომელიც დიპლომატიური კორპუსის ინიციატივით გაიმართა, სამოქალაქო აქტივისტები, „სირცხვილიას“ წევრები არ დაასწრეს და ამიტომ განაწყენებას ჰქონდა ადგილი. ამის შესახებ რას იტყვით?

– ძალიან კარგი იქნებოდა ჩვენი ჩართულობა, იმიტომ, რომ ეს პროცესები პირველივე დღიდან იყო ჩვენ მიერ ინიცირებული. შუაში ჩვენ ვიდექით და ამის გამო ძალიან ბევრი რამ მოხდა, როცა სუფთა, ახალი ძალა იდგა ამ პარტიების გაერთიანების სათავეში. ამან კი მოიტანა ის, რომ 5 თვის განმავლობაში, ფაქტობრივად, უწყვეტი პროტესტი შევინარჩუნეთ.

ჩვენ სიტუაცია მივიყვანეთ იქამდე, რომ ოპოზიცია ერთ მაგიდასთან დაჯდა ასეთი დიდი და განსაკუთრებული რაოდენობით. ამ შეხვედრის დროს მე გათავისუფლებული არ ვიყავი, რომ გამოვედი, მერე გავიგე ეს ამბავი. საწყენია, ჩვენები რომ არ მიიწვიეს. „სირცხვილიამ“ დააფიქსირა თავისი პოზიცია, ნამდვილად იყო წყენის საფუძველი, თუმცა ახლა ის დროა, რომ მტრების მაგივრად მოყვრები ვეძებოთ. რაც უფრო მეტი ვიქნებით, მით მეტი გვექნება შანსი, რომ უფრო სწრაფად მოვერიოთ ამ ტირანს.

– რატომ არ მიიწვიეს სამოქალაქო აქტივისტები?

– „ქართულმა ოცნებამ“ დაასახელა ადამიანები, რომლებთან ერთადაც დაჯდებოდა მოლაპარაკების მაგიდასთან და ჩვენ არ მოვხვდით მათ შორის. უბრალოდ, ცდილობენ, თავი აარიდონ ჩვენთან პირდაპირ შეხვედრას.

– როგორია თქვენი სამოქმედო გეგმები იმ ფონზე, როდესაც ხელისუფლება არ თმობს არაფერს?

– არანაირ დათმობას არ აპირებს „ქართული ოცნება“ და ამას ამბობენ კიდეც. თუმცა ფიზიკურად არ ეყოფა „ოცნებას“ იმის რესურსი, რომ დიდხანს გაძლოს ამ წნეხში.

ყველა და ყველაფერი აჯანყდა მის წინააღმდეგ, ყველა ქალაქსა და, ფაქტობრივად, ყველა ქუჩაზე რაღაც ხდება – პროტესტი, დაბოქლომება, პარლამენტში არშეშვება. ეს პოლიციურ კრიზისს გამოიწვევს და ფიზიკურად ერთი დასვენებული პოლიციელი აღარ ეყოლება, რომელიც, ელემენტარულად, ფეხზე იდგება და დაიცავს.

ერთადერთი, რითიც სიტუაცია უჭირავს ივანიშვილს, არის ის, რომ ჰყავს, მისი აზრით, საიმედო პოლიციური ძალა, ერთადერთი გარანტი მისი კეთილდღეობის. ქონების გადატანის შანსი, ფაქტობრივად, არ აქვს. ის ფიქრობს, რომ მისთვის ერთადერთი უსაფრთხო ქვეყანა საქართველოა და სწორედ საქართველო იქცევა მისთვის ყველაზე სახიფათო ქვეყნად. მარტო ის კი არა, მისი დამქაშებიც კი მხოლოდ პოლიციის კორტეჟებით ახერხებენ გადაადგილებას.

– ანუ ეს წნეხი გაგრძელდება?

– აუცილებლად გაგრძელდება, არა მარტო გაგრძელდება, კიდევ უფ-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

„ლელო, უსუფაშვილი და ახალი მემარჯვენეები მესამე ძალად შეიძლება ჩამოყალიბდეს“

ვახტანგ ძაბირაძე: „მათი ამომრჩეველი ცოტა კაპრიზულია“

ნათია ხურცილავა



პოლიტოლოგი ვახტანგ ძაბირაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო ვახტანგ, ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის დიალოგი შედეგის გარეშე დასრულდა. როგორ განვითარდება მოვლენები?

– ხელისუფლებაზე საკმაოდ დიდი ზეწოლა იყო საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან. „ქართულმა ოცნებამ“ რამდენიმეჯერ თქვა, რომ თემა დახურულია და არანაირი კომპრომისი არ იქნება. აქედან გამომდინარე, აშკარაა, რომ ხელისუფლება იძულებული გახდა, ეს ნაბიჯი გადაედგა, მაგრამ დიალოგზე წასვლა სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ხელისუფლება მზად არის, გერმანული მოდელი მიიღოს.

დიალოგი კიდევ იქნება, ოპოზიციაც აუცილებლად უნდა დათანხმდეს მის გაგრძელებას. ოპოზიციასაც სჭირდება ტაიმაუტი, რადგან პროცესები ისე წარიმართა და თან ისეთი პერიოდი მოდის, რომ ეს დიალოგი ოპოზიციისთვის შეიძლება ერთგვარი გამოსავალი იყოს.

– კალაძემ არ გამორიცხა გარკვეულ საკითხზე შეთანხმება.

– გასაგებია. ასეთ დროს ხელისუფლება ყოველთვის ამბობს, 80 მოთხოვნა ჰქონდათ და 78 შევასრულეთო. არადა, სწორედ რაც არ შესრულდა, ის იქნება მთავარი მოთხოვნა.

საარჩევნო კოდექსის გაჯანსაღება ოპოზიციისა და ზოგადად არჩევნების სწორად ჩასატარებლად ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ, თუ ამ თემებში გაიბნევიან, ეს გამოიწვევს დახურდავებას.

– „ლელო“, დავით უსუფაშვილი და ახალი მემარჯვენეები თანამშრომლობას იწყებენ. შეიძლება, ეს თანამშრომლობა საარჩევნო ბლოკში გადაიზარდოს?

– ოპოზიცია უნდა ჩამოყალიბდეს. ვგულისხმობ სწორედ იმ ოპოზიციას, რომელსაც აქვს შანსი, მესამე ცენტრი გახდეს.

– აქეთკენ შეიძლება იყოს მიმართული ეს ერთობა?

– სამივე ეს ძალა ემიჯნება როგორც „ქართულ ოცნებას“, ისე ნაციონალურ მოძრაობას. სწორედ ეს არის წყალგამყოფი. სამივე არის დასავლური მიმართულების, საკმაოდ გამოცდილი პოლიტიკაში, ვგულისხმობ დავით უსუფაშვილსა და მემარჯვენეებს, თუმცა ეს არ უნდა იყოს ჩაკეტილი წრე. პროცესები როგორ განვითარდება, ჯერ არავინ იცის. ბევრი საკითხია ღია.

– რას გულისხმობთ?

– იმას, რომ ამ სამეულმა არ უნდა ჩაკეტოს კარი, შეიძლება, კიდევ აღმოჩნდნენ გარკვეული ძალები, რომლებიც ყველას ერთად მოუტანენ სიკეთეს და, რაც მთავარია, რეალური მესამე ძალის ფორმირება იყოს შესაძლებელი.

– მესამე ძალის ფორმირებისთვის ეს ერთი წელი საკმარისი არის? თუ ვადამდელი არჩევნები არ დაინიშნა.

– მესამე ძალის შესაქმნელად საზოგადოებრივი რესურსი რეალურად არსებობს.

– ელექტორატის 60% გადაუწყვეტელია და არც ერთ არსებულ ძალასთან არ ახდენს იდენტიფიცირებას.

– დიახ, ეს არის რეალური რესურსი, ასევე საუბარია ძალთა თანაფარდობაზე. ორივე უკვე არსებული ძალის იდენტური ძალის შექმნაზეა საუბარი.

– და რამდენად არის ეს შესაძლებელი? „ოცნებასაც“ და ნაციონალურ მოძრაობასაც დიდი ფინანსები აქვს, თუმცა „ლელო“ ფინანსებს არ უნდა უჩიოდეს.

– დიახ, პოლიტიკაში ფინანსური რესურსი ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ არა – გადამწყვეტი. ამომრჩეველი, რომელზეც ახლა ჩვენ ვსაუბრობთ, ცოტა სხვა ტიპის ამომრჩეველია, მე ვიტყოდი, ცოტა კაპრიზული, უფრო დაფიქრებული, უფრო შორსმჭვრეტელი და პოლიტიკურად უფრო მომწიფებული. ეს ამომრჩეველი დიდად განსხვავდება „ოცნებისა“ და ნაციონალების ამომრჩევლისგან.

– მესამე ძალის მთავარი გამოწვევა რა შეიძლება იყოს?

– რამდენად იქნება მისაღები ის ამ ამომრჩევლისთვის და რამდენად შეძლებს რეალური ალტერნატივის განცდას ელექტორატის ამ ნაწილში.

სხვა დანარჩენი მინიმალურია, თუმცა ასევე მნიშვნელოვანი იქნება პრეზენტაციები, გამოსვლები, ინტენსიური ზემოქმედება ამ კონკრეტული ტიპის ამომრჩეველზე.

მისი დარწმუნება უნდა შეძლოს მესამე ძალამ.

ხათუნა ლაგაზიძე: „ოცნებას“ დასავლეთი დათმობებზე წასვლას აიძულებს

დღეს „ოცნების“ გადარჩენის ერთადერთი ფორმატია, რომ ნაციონალური მოძრაობისგან კვლავ საფრთხე შექმნას

იაგო ნაცვლიშვილი

30 ნოემბერს დიპლომატიური კორპუსის მედიატორობით საარჩევნო მოდელზე შეთანხმებისა და პოლიტიკური კრიზისის განმუხტვის მიზნით ხელისუფლებისა და ოპოზიციის შეხვედრა გაიმართა. შეხვედრის დაწყებამდე ხელისუფლების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ დათმობას არ აპირებენ. როგორც მოსალოდნელი იყო, შეხვედრა უშედეგოდ დამთავრდა.

ხელისუფლება ისევ ჯიუტად იმეორებს, რომ ოპოზიციის მხრიდან შეთავაზებული გერმანული მოდელის ქართული ვარიაცია კონსტიტუციას ეწინააღმდეგება და დათმობას არ აპირებენ. ოპოზიცია კი ისევ აქციებს აგრძელებს და ამბობს, რომ შეხვედრამ არანაირი შედეგი არ გამოიღო, თუმცა, ხელისუფლება აცხადებს, რომ სხვა ვარიანტებმაც გაიჟღერა და, თუ მას არ დასჭირდება საკონსტიტუციო ცვლილება, ამის განსახილველადაც მზად არიან. თავის მხრივ, დასავლელმა დიპლომატებმა დიალოგის დაწყების გამო კმაყოფილება გამოთქვეს.

რა პროცესები მიდის ქართულ პოლიტიკაში? რამდენად სერიოზულია დასავლეთის წნეხი ხელისუფლებაზე? ვისი ტაქტიკა უფრო ამართლებს – ოპოზიციისა თუ ხელისუფლების? როგორ შეიძლება განვითარდეს პროცესები? – ამ და სხვა საინტერესო საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პოლიტოლოგი ხათუნა ლაგაზიძე საუბრობს.

– დასრულდა დიპლომატების მედიატორობით ხელისუფლებისა და ოპოზიციის შეხვედრა, თუმცა ამ ეტაპისთვის – უშედეგოდ. ოპოზიცია ამბობს, რომ ისევ აგრძელებენ აქციებს, ხელისუფლება კი აცხადებს, რომ ოპოზიციის შეთავაზებული მოდელი არაკონსტიტუციურია. ამ ვითარებაში პროცესი როგორ წარმოგიდგენიათ?

– ყველაფერი დამოკიდებულია დასავლეთის აქტიურობაზე, რაზე წამოსვლას აიძულებს დასავლეთი ხელისუფლებას. ზოგადად რა პროცესიც ოპოზიციის მხრიდან მიმდინარეობს, მე ვფიქრობ, რომ შექმნილ ვითარებაში ეფექტიანია. ერთი მხრივ, არის ქუჩის აქციები, რომელიც სრულიად მშვიდობიანი ხასიათისაა და რომელმაც პოლიტიკური პერფორმანსის სახე მიიღო და ხელისუფლებას მუდმივად დაძაბულობის რეჟიმში ამყოფებს იმისათვის, რომ ხელისუფლებამ არ იფიქროს, თითქოს სიტუაციას ფლობს და გამარჯვებულია.

ერთია, რას ამბობს ხელისუფლება და მეორეა, რას ფიქრობს და როგორ იკითხება ის, რასაც ხელისუფლება ფიქრობს: ხელისუფლების ქმედება ყველაზე კარგად გამოჩნდა იმ ჟანგიანი რკინის ღობით, რომელიც მან გაავლო და რომლის უკანაც საკუთარი ხალხის შიშს დაემალა. ეს ყველაზე მეტად მეტყველებს და ეს არის ხელისუფლების რეალური სათქმელი, ის, რასაც ხელისუფლება განიცდის რეალურად. ამიტომაც, მე ვფიქრობ, ოპოზიციის ტაქტიკის ეს ნაწილი გამართლებულია – სახლში ჯდომით ვერაფერი მიიღწევა.

შევხედოთ, როგორ მოქმედებს ოპოზიცია. ერთი ნაწილია ეს აქციები, მეორეა დიპლომატებთან და დასავლურ მედიასთან ზეაქტიური მუშაობა. ეს ძალიან შედეგიანია და 30 ნოემბრის შეხვედრამაც აჩვენა. გვესმოდა ხელისუფლებისგან, რომ თემა დახურულია, ისიც კი გავიგეთ, რომ თურმე დიპლომატებს მათთან კითხვები არ ჰქონიათ. თუ მათ კითხვები არ ჰქონდათ და თემა დახურული იყო, მაშინ ეს შეხვედრა რატომ შედგა?! მე ვუყურებდი, შევარდნაძის ხელისუფლების მიმართ როგორ იზრდებოდა დასავლური მედიაში უკმაყოფილების ტალღა და პარალელურად – დასავლეთის ქვეყნების პოლიტიკურ ელიტებში, მაგრამ შტურმი, რომელსაც ბოლო ორი კვირის განმავლობაში თვალს ვადევნებთ, მაშინაც კი არ მინახავს.

– ანუ ივანიშვილმა ამ მხრივ შევარდნაძესაც კი გაუსწრო?

– მაშინ ეს ნეგატივი დაახლოებით 1.5-2 წლის განმავლობაში თავის ინტენსივობას კრებდა, ახლა კი დასავლეთის მედიის შტურმი ვიხილეთ აკუმულირებული ბოლო ორი კვირის განმავლობაში. ასეთ მოკლე დროში ასეთი შეუფარავი ნეგატივი ბევრ რამეს ნიშნავს, თანაც ისეთი ეპითეტებით ამკობენ საქართველოს ხელისუფლებასა და მმართველი პარტიის ლიდერს, რომ არ შეიძლება, ამან უკვალოდ ჩაიაროს. ახლა ხელისუფლება ცდილობს, მხარდამჭერებში, ძირითადად ადმინისტრაციული რესურსის თვალში, რომელიც მათ აქვთ, დამარცხებულად არ გამოჩნდნენ. უფრო მეტსაც გეტყვით, როგორც ჩანს, „ოცნება“ ფიქრობს, რომ დასავლეთში მომწიფდა „ოცნების“ ჩანაცვლების გეგმა.

– აქედან გამომდინარეა ხელისუფლების მოქმედებები დღეს ქაოტური?

– გვახსოვს, რომ 2012-13 წლებში სულ ისმოდა, რომ ხელისუფლებას პიარი არ აქვს და ამ დროს აღმოჩნდა, რომ ხელისუფლების პიარი და სტრატეგია ყოფილა საზოგადოების დაქსაქსვა და დემოტივაცია, ამიტომაც ის, რასაც დღეს ვუყურებთ, კარგად გააზრებული გეგმის ნაწილია, ვგულისხმობ პროპორციული არჩევნების ჩაგდების გეგმას. დარწმუნებული ვარ, დაპირების გაცემიდან ერთ კვირაში თავში ხელი შემოირტყეს, ეს რა დაგვემართა, ემოციურ ფონზე და აფექტის პერიოდში როგორ „გავისროლეთ“ ეს დაპირებაო და მაშინვე დაიწყეს ფიქრი იმაზე, როგორ ეთქვათ უარი ამ დაპირებაზე. ამისთვის მზადება დიდხანს მიმდინარეობდა, უბრალოდ, ეძებდნენ შესაბამის ფონსა და პირობებს.

– არ ელოდნენ, რომ საზოგადოების პროტესტი ისევ საკმაოდ მძლავრი იქნებოდა?

– ელოდნენ, მაგრამ, როგორც ჩანს, რამდენიმე ვერსია ჰქონდათ მომზადებული. თუ ეს პროტესტი იქნებოდა მასშტაბური, ფიქრობდნენ, რომ ოპოზიციის მხრიდან ეს აქციები ძალისმიერ სახეს მიიღებდა და ამით ხელისუფლება ისარგებლებდა. მიმართავდნენ დასავლეთს, ამათ როგორ უჭერთ მხარსო: ასეთი პოლიტიკური ძალა გინდათ, რომელიც ქვეყანას ქაოსში ამყოფებს და დაპირისპირებაში ძირავსო? მაგრამ ხელისუფლებას კოვზი ნაცარში ჩაუვარდა. აქციამ რომ ასეთი მშვიდობიანი პოლიტიკური პერფორმანსის სახე მიიღო, ამაში ძალიან დიდია ახალი თაობის პოლიტიკოსების დამსახურება, მათ შორის, გიორგი ვაშაძის, რომელიც ყველაზე ნათელი სახეა ახალი თაობის პოლიტიკოსებში.

ხელისუფლების მოქმედების მეორე მიმართულება იყო ის, რომ ფიქრობდა, თუ ხალხი არ გამოვა, მაშინ თავი ქუდში გვაქვს და მაშინ უფრო ადვილად გადავაგორებთ პროპორციული არჩევნების ჩაგდების საკითხსო, ფიქრობდა, რომ ორივე შემთხვევაში მოგებული იქნებოდა. ვფიქრობ, მთავარი, რაც მათ არ ჰქონდათ გათვლილი, იყო ის, რომ დაკარგავდნენ პროდასავლურ ნაწილს. „ოცნების“ ხელისუფლება „ორსახოვანი იანუსი“ იყო, საიდანაც ერთ-ერთი სახე იყო პროდასავლური.

– დღეს ეს ნიშა უკვე დაკარგა მან?

– ამ პროდასავლური ნაწილის წამოსვლით, ფიგურალურად რომ ვთქვათ, „ოცნებამ“ თავისი პროდასავლური სახე „აიხია“ და რეალურად აღმოჩნდა სერიოზული პრობლემის წინაშე, რადგან მათ აღარ დარჩათ კონტაქტ-პერსონა დასავლეთთან. ის ჯგუფი, რომელიც წავიდა „ოცნებიდან“ ჩუგოშვილის ხელმძღვანელობით, იყო ის გუნდი, რომელსაც ემყარებოდა დასავლეთის ნდობა „ქართული ოცნების“ მიმართ. ახლა კი მას ეს „ნდობის ჯგუფი“ აღარ ჰყავს. ერთადერთი არჩილ თალაკვაძე დარჩა, რომელსაც ამხელა ტვირთის აწევა მარტო უწევს, თუმცა, სიმართლე გითხრათ, „ოცნებაში“ დარჩენილების უმეტესობას დიდად არც ანაღვლებს პროდასავლური ფასადის შენარჩუნება.

გაგრძელება მე-5 გვერდზე

გიგა მაქარაშვილი: „მოსამართლემ საქართველოს ჰიმნის მღერა არ მაპატია“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

რო გააქტიურდება. ეს არის გადამწყვეტი ბრძოლა. ახლა თუ დავთმეთ, მერე მრავალი წელი ძალიან გაგვიჭირდება ამ მონობიდან გამოსვლა.

– ხელისუფლება ამბობს, სულ 200 კაცი ჰყავთო.

– 9 დეკემბერს გვაქვს დაანონსებული აქცია, სადაც, მინიმუმ, 20 ათასი ადამიანი იქნება. ასე რომ, 200-სა და 20 ათასს შორის დიდი სხვაობაა. ბიძინა ივანიშვილი რომ იძახის, 200 კაციაო, ყველამ უნდა იცოდეს, რომ იტყუება. შეხედეთ კადრებს. რამდენი ადამიანი იყო წინა ორშაბათს?

ივანიშვილი აგონიაშია. ის გადავიდა რეპრესიებზე, დაჭერებზე. თუნდაც ჩემი დაჭერა აბსოლუტურად გაუმართლებელი იყო, ვერანაირი მტკიცებულება ვერ მოიტანეს, მოწმეც ვერ მოიყვანეს. დამკავებელი პოლიციელიც კი ის არ იყო, რომელმაც რეალურად ჩამსვა პოლიციის მანქანაში. ვერაფერი მომიგონეს, ჰიმნის სიმღერა არ მაპატიეს სასამართლო დარბაზში და 12 დღე გამომკეტეს სრულიად მარტო საკანში.

„ციხეში საჭმელ-სასმელი იმდენი მქონდა, რომ სხვებს ვურიგებდი“

ეს სიტუაცია ძალიან მაგონებს წინა ხელისუფლების მმართველობის ბოლო წელიწადსა და იმის წინა ხელისუფლების მმართველობის ბოლო თვეებს.

– ეს წნეხი, რეპრესიები, ლიდერების დაპატიმრებები გაგრძელდება?

– ივანიშვილს ფიზიკურად სხვა გზა არა აქვს. ასე რომ, გაგრძელდება.

– რას ელით, ამ სიტუაციიდან გამომდინარე, წამოვა დათმობაზე ხელისუფლება?

– ძალიან ძნელია „ქართული ოცნებისგან“ რამე ადეკვატური პროგნოზის მოლოდინი, იმიტომ, რომ სრულიად არაადეკვატურები არიან, განსაკუთრებით – კრიზისის დროს.

მათ კრიზისის მართვა საერთოდ არ შეუძლიათ. რაც მეტია წნეხი, მით მეტ შეცდომას უშვებენ და მით უფრო ჩქარდება მათი პოლიტიკური დასასრული.

ან მოუწევთ პირდაპირ წასვლა, ან – მსუყე დათმობები. აუცილებლად იქნება ვადამდელი არჩევნები პროპორციული სისტემით, გერმანულ მოდელზე. ეს არის ერთადერთი პირობა, რომელსაც დავთანხმდებით.

– გერმანული მოდელი არაკონსტიტუციურიაო. როგორ უნდა მოაქციოთ კონსტიტუციურ ჩარჩოებში?

– როგორც 200 კაცი იყო ჩვენს აქციებზე, ისეა გერმანული მოდელი არაკონსტიტუციური. უბრალოდ, ცრუობენ. ძალიან კარგად ახსნეს უსუფაშვილმაც, ხმალაძემაც, რომ ეს არის მოდელი, რომელიც ძალიან კარგად ჯდება და ძალიან მარტივად არის შესაძლებელი ამ მოდელით არჩევნების ჩატარება. დიდი ტყუილია, რომ ის ვერ ერგება ქართულ კონსტიტუციას.

მთელი 7 წელია, ივანიშვილი ცდილობს, კონსტიტუცია სათავისოდ მოირგოს. ტანზე ჩაიცვა, ყველას თავზე გადაგვახია და ახლა დაიწყო კონსტიტუციის დაცვა, როდესაც ამას არ საჭიროებს?!

– ანუ ვადამდელ არჩევნებს ელით?

– დიდი ალბათობით, ვადამდელი არჩევნები იქნება.

უკრაინაში ქართველი კანონიერი ქურდი დავით გერლიანი მეოთხედ დააპატიმრეს

უკრაინელმა სამართალდამცველებმა 47 წლის ქართველი კანონიერი ქურდი, დავით გერლიანი, კიდევ ერთხელ დააკავეს.

ბოლო სამი წლის განმავლობაში უკრაინის ტერიტორიაზე დავით გერლიანის დაკავების ეს უკვე მეოთხე შემთხვევაა.

ამის შესახებ პრაიმ ტაიმი იუწყება.

წინა დაკავების დროს გერლიანი უკრაინაში შესვლას მოლდოვიდან ცდილობდა, თუმცა მესაზღვრეებმა ის დააპატიმრეს, ქვეყნიდან გააძევეს და უკრაინის ტერიტორიაზე შესვლა აუკრძალეს.

აკრძალვის მიუხედავად, ქართველი კანონიერი ქურდი 3 თვეში კიევში აღმოჩნდა.

გერლიანი ცნობილი კანონიერი ქურდის როვშან ჯანიევის სიძე გახლავთ. თავად ჯანიევი 2016 წელს სტამბოლში მოკლეს.

საქართველოში დავით გერლიანის სახელი დიდ პოლიტიკურ სკანდალს უკავშირდება, კერძოდ, 2016 წელს უკრაინის უშიშროების სამსახურმა ის ოდესაში დააპატიმრა და საქართველოში გამოაძევა. გერლიანმა საქალაქო სასამართლოში თავადაც კი ვერ დამალა გაკვირვება, რომ მას თბილისის აეროპორტში ხელბორკილების ნაცვლად ტელეკამერა დახვდა.

გერლიანმა უკრაინული პასპორტითა და ჩაჩიბაიას გვარით უპრობლემოდ გაიარა თბილისის აეროპორტის სასაზღვრო გამშვები პუნქტი და, „რუსთავი 2“-ის ტელეობიექტივის გარდა, მომდევნო სამი დღის განმავლობაში თვალით აღარავის უნახავს. მისი დაკავება შინაგან საქმეთა სამინისტრომ მხოლოდ 2016 წლის 22 ივნისს საქართველო-სომხეთის საზღვართან მოახერხა, საიდანაც გერლიანი ქვეყნის დატოვებას გეგმავდა.

იმ დღეებში აქტიური განხილვის საგნად იქცა საკითხი, რატომ არ შეატყობინეს უკრაინელმა სამართალდამცავებმა ქართველ კოლეგებს კანონიერი ქურდის დეპორტაციის შესახებ და რატომ ვერ მოახერხა შსს-მ გერლიანის დაკავება თბილისის საერთაშორისო აეროპორტში.

დავით გერლიანი თავს პოლიტიკური თამაშების მსხვერპლად მიიჩნევდა. მისი ადვოკატის თქმით, გერლიანი ოდესის ერთ-ერთი რესტორნიდან, ვანო მერაბიშვილის ყოფილი მოადგილის, გია ლორთქიფანიძის ხელმძღვანელობით, სრულიად უკანონოდ მოიტაცეს და ასევე უკანონოდ გამოამგზავრეს საქართველოში.

მოკლედ, საქართველო-სომხეთის საზღვარზე დაკავებული გერლიანი 2016 წლის 8 დეკემბერს, თბილისის საქალაქო სასამართლომ კანონიერი ქურდობის ბრალდების ნაწილში გაამართლა, ხოლო საზღვრის უკანონო კვეთის მცდელობაში დამნაშავედ ცნო და 6.500 ლარის ოდენობის ჯარიმა დააკისრა.

ამის მიღების შემდეგ დავით გერლიანი სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლეს. მან ქვეყანა მაშინვე დატოვა, თუმცა ერთი წლის შემდეგ კვლავ ოდესაში დააკავეს. 2017 წელს მას უკრაინის ტერიტორიაზე შესვლა აეკრძალა და ამჯერად, მესამე ქვეყანაში გააძევეს.

2019 წლის ივლისში გერლიანი კვლავ უკრაინაში დააფიქსირეს და ისევ გააძევეს.

წინა კვირას სკანდალური იმიჯითა და ისტორიებით ცნობილი ქართველი კანონიერი ქურდი ისევ უკრაინაში დააკავეს და საემიგრაციო სამსახურში გადაიყვანეს. ამჟამად მიმდინარეობს პროცედურები მისი ქვეყნიდან მორიგი გაძევების შესახებ.

ვისი მუთოშვილის მკვლელობისთვის არბი ქავთარაშვილი და რამაზ ხანგოშვილი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად ახმეტის მუნიციპალიტეტში შეიარაღებული დაპირისპირებისას 1982 წელს დაბადებული ვისი მუთოშვილის განზრახ მკვლელობის ფაქტი გახსნეს.

უწყების ცნობით, დაკავებულია 2 პირი – 21 წლის არბი ქავთარაშვილი და 29 წლის რამაზ ხანგოშვილი.

– ამ ეტაპზე საქმეზე გამოძიება გრძელდება სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე და 236-ე მუხლების კვალიფიკაციით, რაც განზრახ მკვლელობას და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარებას გულისხმობს, – ნათქვამია განცხადებაში.

არბი ქავთარაშვილი და რამაზ ხანგოშვილი იმ დროს დააკავეს, როდესაც ისინი თბილისისკენ მოდიოდნენ.

ამის შესახებ ინტერპრესნიუსს დაპირისპირებისას დაჭრილი მურად ქავთარაშვილის ძმამ, მერაბ ქავთარაშვილმა განუცხადა.

– ორივე დაკავებულს ვიცნობ. ერთ-ერთი ჩემი ძმისშვილია – არბი ქავთარაშვილი და მეორე, რამაზ ხანგოშვილი, ჩვენი ნათესავია, – განაცხადა მერაბ ქავთარაშვილმა.

სხვა დეტალების შესახებ მერაბ ქავთარაშვილმა თქვა, რომ ინფორმაცია არ აქვს.

მკვლელობა პანკისში გასულ კვირას მოხდა. ვისი მუთოშვილს 2 სასიკვდილო ჭრილობა ცეცხლსასროლი იარაღით მიაყენეს. დაიჭრა 3 პირი, მათგან 2 ამ დრომდე საავადმყოფოში რჩება.

მოტივთან დაკავშირებით მოკლულისა და დაკავებულების ოჯახებს ურთიერთგამომრიცხავი ვერსიები აქვთ.

მუთოშვილები ირწმუნებიან, რომ გვარებს შორის დაპირისპირება ჰესის მშენებლობის გამო დაიწყო, ქავთარაშვილები კი ამტკიცებენ, რომ ჰესი და გვარები არაფერ შუაშია. მათი ინფორმაციით, ორ კონკრეტულ ოჯახს შორის გაუგებრობა რამდენიმე თვის წინ მოხდა, რის მერეც მათ შერიგებას უხუცესები ცდილობდნენ.

გამოძიება ამ ეტაპზე 2 მუხლით გრძელდება. ეს არის განზრახ მკვლელობა და ცეცხლსასროლი იარაღის ტარება.

„7 წლის წინ თვითმკვლელობა ცადა“

32 წლის ალექსანდრე ნადირაძეს რამდენიმე დღეა, ეძებენ

სამტრედიის სოფელ საჯავახოში ახალგაზრდა მამაკაცს რამდენიმე დღეა, ეძებენ.

32 წლის ალექსანდრე ნადირაძის სამძებრო სამუშაოები მდინარე რიონში მიმდინარეობს, სადაც მისი ტანსაცმელი იპოვეს.

როგორც სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერი ვალერი ფოცხვერია აცხადებს, დაკარგულს 7 წლის წინ თვითმკვლელობის მცდელობა ჰქონდა.

– როცა სოფლის მოსახლეობამ აღმოაჩინა ტანსაცმელი, 32 წლის ახალგაზრდა ბიჭის, ალექსანდრე ნადირაძის, რომელიც სავარაუდოდ მდინარე რიონში დაიხრჩო, მაშინვე შეგვატყობინეს სოფლიდან და სამაშველო სამსახური მაშინვე ჩაერთო სამუშაოებში. როგორც სოფლის მოსახლეობა, ახლობლები ამბობენ, 7 წლის წინ ჰქონდა თვითმკვლელობის მცდელობა. იმის შემდეგ არ განმეორებულა, – განაცხადა სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერმა ვალერი ფოცხვერიამ.

ახლობლის მანქანის გაყიდვისთვის ბათუმში ო.ა. დააკავეს

აჭარის პოლიციამ მითვისების ბრალდებით ერთი პირი დააკავა.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების სამმართველოს თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად 1976 წელს დაბადებული ო.ა. დიდი ოდენობით თანხის მითვისების ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 7-დან 11 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, ახლობლის მეშვეობით, ერთ-ერთი ბანკის ავტოლიზინგით ისარგებლა. მოგვიანებით, ო.ა.-მ ავტომანქანა 2.200 აშშ დოლარად გაყიდა და თანხა მართლსაწინააღმდეგოდ მითვისა.

სამართალდამცველებმა ბრალდებული, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, ბათუმში დააკავეს.

დიდი ოდენობით სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მითვისების ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს,“ – აღნიშნულია შსს-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

დუშეთში 25 წლის ქალმა თავი ჩამოიხრჩო

დუშეთის მუნიციპალიტეტში, ლიქოკის ხეობაში, ახალგაზრდა ქალის ცხედარი იპოვეს.

ადგილობრივების ინფორმაციით, 25 წლის გოგონა მეზობელ სახლში გადავიდა, რომელიც ასევე მის ოჯახს ეკუთვნოდა და თავი თოკით ჩამოიხრჩო.

გოგონას ცხედარი არასრულწლოვანმა იპოვა.

ოჯახს ჯერჯერობით უჭირს იმ მიზეზების დასახელება, რამაც გოგონა სუიციდამდე მიიყვანა.

ადგილზე მობილიზებულმა სამართალდამცავებმა ჩხრეკის შემდეგ გარკვეული ნივთები ნივთმტკიცების სახით ამოიღეს.

მომხდარზე გამოძიება 115-ე მუხლით დაიწყო, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

ზესტაფონში პატრული დაიღუპა

ზესტაფონში ავტომანქანა საპატრულო პოლიციის თანამშრომელს დაეჯახა, რის შედეგადაც ის დაიღუპა.

პოლიციის თანამშრომელი საპატრულო მანქანიდან გადმოდიოდა, როდესაც მას მანქანა დაეჯახა. პოლიციელს მრავლობითი ღია და დახურული სახის მოტეხილობები აღენიშნებოდა. ის კლინიკა „ფერომედში“ გადაიყვანეს, თუმცა ექიმებმა პოლიციელის გადარჩენა ვერ შეძლეს.

მძღოლი შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მეორე და მეექვსე ქვეპუნქტებით მიმდინარეობს.

ხათუნა ლაგაზიძე: „ოცნებას“ დასავლეთი დათმობებზე წასვლას აიძულებს

დასაწყისი მე-4 გვერდზე

– საუბრობდით „ოცნების“ სტრატეგიაზე. გამოვიდა, რომ ოპოზიცია ამ ყველაფერს მომზადებული შეხვდა, როდესაც ის ძალადობაზე არ წავიდა და პროტესტი მაინც მშვიდობიან ჭრილში გადაიყვანა?

– ვფიქრობ, ოპოზიციის აქციები არის მშვიდობიანიც და შედეგიანიც და ხელისუფლებას ყოველდღე სახეს აკარგვინებს. როცა წულუკიანი ამბობს, რომ „გერმანული მოდელი“ არაკონსტიტუციურია, მაგრამ გაჟღერდა სხვა შემოთავაზებები და, თუ ის არ საჭიროებს კონსტიტუციურ ცვლილებას, მის განსახილველად მზად ვართო, ეს ნიშნავს, რომ „ოცნებას“ დასავლეთი აიძულებს დათმობებზე წასვლას, ოღონდ არ უნდათ, რომ ამას გერმანული მოდელი ერქვას.

– შეფუთვა უნდათ იმ მხრივ, რომ ოპოზიციასთან კი არ წავიდნენ დათმობაზე, არამედ სტაბილურობის მხრივ გადადგეს ნაბიჯები და სახელმწიფო ინტერესებიდან ამოვიდნენ?

– დიახ, ასეა. მათ არ აწყობთ ოპოზიციასთან დათმობაზე აშკარად წასვლა. არ უნდათ, რომ საკუთარ ამომრჩეველთან გამოჩნდნენ, როგორც ოპოზიციასთან დათმობაზე წამსვლელი ძალა. მათ დარჩათ მხოლოდ ადმინისტრაციული რესურსი და მათ თვალში არ უნდათ ამის წარმოჩენა. „ოცნებას“ ხომ არ ჰყავს იდეური ამომრჩეველი, როგორც ნაცმოძრაობას ჰყავდა და ჰყავს. ამიტომ ცდილობენ, არ ჩამოენგრეთ ადმინისტრაციული რესურსიც და არჩევნები არჩევნებამდე არ წააგონ.

– შესაძლოა, ხელისუფლებამ შექმნას სამოქალაქო დაპირისპირების საფრთხე?

– მე იმედი მაქვს, რომ საქმე აქამდე არ მივა, თუმცა ხელისუფლებაში ნამდვილად არიან „ცხელი თავები“ და ისინი ყოველდღე ცდილობენ საზოგადოების პროვოცირებას, მაგალითად, როგორც ირაკლი კობახიძე.

ხელისუფლების წარმომადგენლების ასეთი მოქმედება და ყოველდღიური ცინიკური განცხადებები სერიოზულ საფრთხეს აჩენს, რომ ხელისუფლება არ გავიდეს რაციონალური აზროვნების მიღმა. როდესაც ამბობენ, რომ 200 კაცი დგას ქუჩაში, ამაზე 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების მაგალითს მოვიყვან: ქუჩაში მაშინაც ვერ გამოიყვანეს ხალხის დიდი რაოდენობა, მაგრამ რამდენმა ადამიანმა მისცა გაერთიანებული ოპოზიციის კანდიდატს ხმა? 800.000 კაცმა. ეს ხომ გადასარევად იცის „ქართულმა ოცნებამ“!

დღეს „ოცნების“ გადარჩენის ერთადერთი ფორმატია, რომ ნაციონალური მოძრაობისგან კვლავ შექმნას საფრთხე, შუა კიდევ ერთხელ გაკრიფოს და საზოგადოება ისევ ორპარტიული არჩევანის წინაშე დააყენოს. თუ ეს მესამე პოლიტიკური ცენტრი მოძლიერდა, „ოცნებას“ გეგმებს წყალში ჩაუყრის. შუას გაჩენა დასავლეთისთვისაც არის ძალიან მნიშვნელოვანი სიგნალი – დასავლეთს სჭირდება ძალა, რომლის არსებობაც ქართულ პოლიტიკურ სივრცეში მოვლენათა სტაბილურ განვითარებას უზრუნველყოფს. ამიტომაც არის საინტერესო საკონსულტაციო ფორმატი მამუკა ხაზარაძის, დავით უსუფაშვილისა და ახალი მემარჯვენეების მონაწილეობით, რომლებიც შეიძლება სხვებისთვისაც გახდეს მიზიდულობის ცენტრი.

მაგრამ, სიმართლე გითხრათ, არ მესმის, რატომ ეთიშებიან ისინი საპროტესტო მუხტს: კაბინეტებიდან ეს არჩევნები ვერ მოიგება. ეს იმის რისკსაც ქმნის, რომ ოპოზიცია დაიქსაქსოს და გარე საპროტესტო აქციებს ხელისუფლებამ მარტივად მიაწებოს მხოლოდ ნაციონალების აქციების კლიშე, რომელიც ამ აქციების მიმართ საზოგადოების ნაწილში აგრესიასა და მიუღებლობას გაზრდის.

– ოპოზიცია გვეუბნება, რომ თანდათანობით აღწევენ ხელშესახებ პროგრესს. თქვენ დაინახეთ? რით გამოიხატება ეს მაშინ, როდესაც ივანიშვილი მყარად ინარჩუნებს ძალაუფლებას და „ოცნების“ წევრები გვიცხადებენ, რომ დათმობას არ აპირებენ?

– ეს შეხვედრაც დიპლომატების მედიატორობით თავისთავად პროგრესი იყო. ერთია, რას ამბობს „ქართული ოცნება“, მაგრამ მეორეა, რეალურად რა ნაბიჯებს გადადგამს.

დასავლეთთან ასეთი თამაში დღემდე არავის გასვლია. გასაგებია, რომ დასავლეთი დღეს არ არის ისეთი შეკრული, როგორიც იყო 10 და 20 წლის წინ. იქით მაკრონი ამბობს, ნატოს ტვინი მკვდარიაო, აქეთ ერდოღანი პასუხობს, ნატოსი კი არა, შენი ტვინია მკვდარიო. ცალკე ვიგებთ, რომ ტრამპი ნატოს დაფინანსებას ამცირებს და გამოთავისუფლებული თანხებით უკრაინისა და საქართველოს დაცვას გეგმავს.

აჭრილი საგარეო ფონის მიუხედავად, არა მგონია, დასავლეთი ვერ ხედავდეს, რომ დღეს საქართველოში რეგიონისთვის გადამწყვეტი ბრძოლა მიმდინარეობს და, თუ საარჩევნო სისტემამ არ უზრუნველყო პროდასავლური ძალების წარმომადგენლობა პარლამენტში, ეს ნიშნავს საქართველოს დათმობას რუსეთისთვის. ფაქტობრივად, საუბარია იმაზე, ვის დარჩება საქართველო უახლოესი წლების განმავლობაში – რუსეთს თუ დასავლეთს. არა მგონია, რომ დასავლეთმა ასე მარტივად გამოუცხადოს კაპიტულაცია რუსეთს ამ რეგიონში – საქართველოს დათმობა კი სწორედ ამას ნიშნავს.

თუმცა, არც ის მგონია, რომ რუსეთი შეეგუება იმის დაკარგვას, რაც მან საქართველოში ბოლო 7 წლის განმავლობაში მიაღწია: ის წარმოუდგენლად წინ არის წასული თავისი მიზნების მიღწევაში 2012 წელთან შედარებით. ამიტომაც არის ძალიან ძნელი პროგნოზის გაკეთება, რით დასრულდება ეს შერკინება. მაგრამ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ ამ შერკინებაში პროგრესულმა საქართველომ გაიმარჯვოს.

– რუსეთი ხომ არ შეეცდება დესტაბილიზაციას საქართველოში და რაღაც პროვოკაციებს, მაგალითად, ისეთ სცენარს, როგორიც მან რამდენიმე წლის წინ უკრაინაში „მაიდანის მოვლენების“ სახით მოაწყო?

– სულ ვამბობდი, რომ ნაციონალურ მოძრაობას 2012 წელს ამერიკამ და ზოგადად დასავლეთმა არ მისცა წითელი ხაზების გადაკვეთის საშუალება და საკუთარ ხალხთან ძალისმიერი დაპირისპირების უფლება. მაშინდელი ხელისუფლება დასავლეთს ანგარიშს უწევდა. დღეს „ქართული ოცნება“ გადაკვეთს თუ არა წითელ ხაზებს, ამის თქმა რთულია, რადგან, როგორც ჩანს, მას დასავლეთის წინაშე აღებული ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობების ნაწილი დიდად აღარ ანაღვლებს. ამიტომაც, რამდენად შეძლებს დასავლეთი, არ აიძულოს „ოცნება“, არ გადაკვეთოს წითელი ხაზები, რამაც შეიძლება, სამოქალაქო დაპირისპირების ინსპირირება გამოიწვიოს, არ ვიცი.

განსხვავება 2020 წლის „ქართულ ოცნებასა“ და 2012 წლის ნაციონალურ მოძრაობას შორის, იცით, რა არის? ნაციონალურმა მოძრაობამ იცოდა, რომ თუ უნდოდა, გადარჩენილიყო, როგორც პოლიტიკური ძალა და არ დამთავრებულიყო 2012 წელს, ამისთვის დასავლეთისთვის მისაღებ ძალად უნდა დარჩენილიყო და თავადაც უნდა მიეღო დასავლეთის ანუ დემოკრატიული თამაშის წესი – ამიტომაც ხელისუფლებიდან მშვიდობიან წასვლას დასთანხმდა და თავზე ხელი არ აიღო არჩევნების დღეს, თორემ მანამდე რაც აკეთა, ეს რომ მახსენდება, ახლაც სისხლი მეყინება. „ქართულმა ოცნებამ“ კი იცის, რომ მისი უკან მობრუნება დასავლეთის მხარდაჭერით აღარ მოხდება, ოღონდ ეს რეალობა თავად „ოცნების“ ხელისუფლებამ დააყენა. მან დასავლეთის ფავორიტ ძალობაზე თავად თქვა უარი, ანუ თუ წავა, მერე დასავლეთის მხარდაჭერით უკან მობრუნების შანსებს ვერ ხედავს. ამიტომაც არის „ქართული ოცნება“ დღეს ასე საშიში და მზადმყოფი, ნებისმიერ ფასად შეინარჩუნოს ხელისუფლება.

ამიტომაც ვფიქრობ, ჩვენ ყველას ერთად გვჭირდება, „ქართულმა ოცნებამ“ სახე შეინარჩუნოს, კედელთან მიყენებულად არ იგრძნოს თავი და მისმა „ცხელმა თავებმა“ არ იფიქრონ სამოქალაქო დაპირისპირებაზე. „ქართულ ოცნებას“ სჭირდება პერსპექტივის ნათელი სურათი, ამიტომაც უაღრესად მნიშვნელოვანია, „ოცნებამ“ საკუთარი თავი მომავლის საქართველოს პოლიტიკაში დაინახოს.

მალტაში ბიზნესმენი ჟურნალისტის მკვლელობაში მონაწილედ ცნეს

მალტაში ბიზნესმენი იორგენ ფენეჩი ჟურნალისტ დაფნე კარუან გალიციას მკვლელობის თანამონაწილედ ცნეს.

2017 წელს მომხდარი მკვლელობის გამოძიების შემდეგ გადაწყვეტილება ქალაქ ვალეტას სასამართლომ მიიღო.

ცნობილი ბიზნესმენი იორგენ ფენეჩი გასულ კვირას საკუთარი იახტით კუნძულის დატოვებას ცდილობდა, როდესაც ის დააკავეს, მოგვიანებით კი გიროაოს სანაცვლოდ გაათავისუფლეს.

53 წლის ჟურნალისტი და ბლოგერი დაფნე კარუანა გალიცია 2017 წლის 16 ოქტომბერს საკუთარ ავტომობილში დისტანციურად მართვად ასაფეთქებელ მოწყობილობას ემსხვერპლა. ის მალტის მმართველ წრეებში კორუფციის შემთხვევებს იძიებდა.

ჰაიგაში თავდასხმაში ეჭვმიტანილი დააკავეს

ჰოლანდიის პოლიციამ ჰაიგაში მომხდარ თავდასხმაში ეჭვმიტანილი დააკავა. მედიის ცნობით, 35 წლის ეჭვმიტანილი დაკითხვაზე გადაიყვანეს.

შემთხვევა 30 ნოემბერს ჰაიგაში, ერთ-ერთ სავაჭრო ცენტრში მოხდა, სადაც „შავი პარასკევის“ გამო ხალხმრავლობა იყო.

დანით შეიარაღებული მამაკაცი ადამიანებს თავს დაესხა, რის შედეგადაც 3 ახალგაზრდა დაიჭრა. მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

თავდამსხმელმა მიმალვა მოახერხა და მასზე ძებნა იყო გამოცხადებული. ჰოლანდიის პოლიციამ თავდასხმის ტერორიზმთან კავშირი გამორიცხა.

ჯონსონი ტრამპს: „არ ჩაერიოთ ბრიტანეთის არჩევნებში“

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ბორის ჯონსონი აცხადებს, რომ აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი „საუკეთესოდ“ იმოქმედებს, თუკი ბრიტანეთის არჩევნებში არ ჩაერევა.

– ის, რასაც ჩვენ, როგორც ახლო მოკავშირეები და მეგობრები, ტრადიციულად, არ ვაკეთებთ, ერთმანეთის საარჩევნო კამპანიებში ჩარევაა. როდესაც ისეთი ახლო მეგობარი და მოკავშირე გყავს, როგორიც შეერთებული შტატები და გაერთიანებული სამეფოა, საუკეთესო რამ, რაც შეიძლება, ორივე მხარემ გააკეთოს, ის არის, რომ ერთმანეთის არჩევნებში არ ჩაერიონ, – განაცხადა ჯონსონმა.

ბრიტანეთის კონსერვატიული პარტიის ზოგიერთი წარმომადგენელი შიშობს, რომ ტრამპმა, რომელიც ლონდონში ვიზიტს გეგმავს, შესაძლოა, საარჩევნო კამპანიას ხელი შეუშალოს.

აშშ-ის პრეზიდენტმა ოქტომბერში განაცხადა, რომ ოპოზიციური ლეიბორისტული პარტიის ლიდერი ჯერემი კორბინი ბრიტანეთისთვის ისეთი ცუდი იქნებოდა, რომ ჯონსონს ერჩივნა, ბრექსითის პარტიის ლიდერ ნიგელ ფარაჟისთან საარჩევნო პაქტს დასთანხმებოდა.

როგორც დონალდ ტრამპის ადმინისტრაციის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ჟურნალისტებს განუცხადა, აშშ-ის პრეზიდენტს სრულად გაცნობიერებული აქვს, რომ სხვა ქვეყნის არჩევნებში აღარასდროს ჩაერევა.

დიდ ბრიტანეთში ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები 12 დეკემბერს არის დაგეგმილი.

ლონდონის ხიდზე თავდასხმაზე პასუხისმგებლობა ისლამურმა სახელმწიფომ აიღო

ლონდონის ხიდზე თავდასხმაზე პასუხისმგებლობა რადიკალურმა დაჯგუფება ისლამურმა სახელმწიფომ აიღო.

ბრიტანეთის პოლიციის ინფორმაციით, თავდამსხმელი 28 წლის უსმან ხანი იყო, რომელიც 2012 წელს ტერორიზმთან კავშირის ბრალდებით იხდიდა სასჯელს. ის ციხიდან 2018 წელს გაათავისუფლეს, თუმცა მასზე „ელექტრონული სამაჯურის“ საშუალებით მონიტორინგი ხორციელდებოდა.

ინციდენტი ლონდონის ხიდზე 29 ნოემბერს მოხდა. დანით შეიარაღებული მამაკაცი გამვლელებს დაესხა თავს, რის შედეგადაც დაიღუპა 2 და დაიჭრა 3 ადამიანი.

თავდამსხმელს ადგილზე მისულმა სამართალდამცავებმა ესროლეს, რის შედეგადაც ის გარდაიცვალა.

პოლიციამ თავდასხმა ტერორისტულ აქტად შეაფასა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ექიმებმა თირკმელი შეცდომით სხვა ავადმყოფს გადაუნერგეს

ამერიკის ნიუ-ჯერსის შტატში ექიმებმა თირკმელი სულ სხვა ავადმყოფს გადაუნერგეს.

51 წლის ამერიკელს დონორის თირკმელი რამდენიმე დღის წინ გადაუნერგეს. მოგვიანებით ექიმები მიხვდნენ, რომ ავადმყოფები ერთმანეთში აერიათ. თირკმელი სულ სხვა ადამიანისთვის იყო განკუთვნილი, რომელიც იმავე ასაკის იყო.

სამედიცინო დაწესებულების თანამშრომლებმა ორგანოების ტრანსპლატაციისა და შესყიდვის ორგანიზაციასა და შტატის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს დაშვებული შეცდომის შესახებ აცნობეს.

საბოლოოდ იმ ადამიანს, რომელსაც ნამდვილად ესაჭიროებოდა თირკმლის გადანერგვა, ექვსი დღის შემდეგ წარმატებით გაუკეთდა ოპერაცია.

საავადმყოფოს ხელმძღვანელობამ უპრეცედენტო შეცდომა აღიარა. ადმინისტრაციამ დაამატა, რომ ყველა ღონეს იხმარს იმისთვის, რომ მომავალში მსგავსი შეცდომა აღარ განმეორდეს.

მაილი საირუსის ახალმა ვარცხნილობამ თაყვანისმცემლები გააოგნა

ამერიკელმა მომღერალმა მაილი საირუსმა თაყვანისმცემლები ახალი ვარცხნილობით საგონებელში ჩააგდო. მისი ფოტოსურათები ინსტაგრამში სტილისტ სელი ჰერშბერგერის გვერდზე გამოქვეყნდა.

სურათებზე პოპშემსრულებელი მალეტის სტილის ვარცხნილობის ერთ-ერთი ვარიაციითაა აღბეჭდილი, რომლის დროსაც თმა, როგორც წესი, სახესთან გვერდებზე მოკლედაა შეჭრილი, ხოლო უკანა მხარეს გრძელი რჩება. ასეთი ვარცხნილობა განსაკუთრებით პოპულარული გასული საუკუნის 70-80-იან წლებში იყო. მას ძირითადად სპორტსმენები და როკმუსიკოსები ატარებდნენ.

საირუსის თაყვანისმცემლებმა კომენტარებში საკუთარი დამოკიდებულება გამოხატეს მომღერლის ახალი ვარცხნილობისადმი.

– ეს ყველაზე უარესი ვარცხნილობაა, რომელიც კი აქამდე მინახავს, ახლა უკვე ყველა იფიქრებს, რომ მაილი ისევ კრიზისშია, – განაცხადა ერთ-ერთმა თაყვანისმცემელმა.

– მენატრება მისი ძველი ვარცხნილობა, ახლა ის განაწყენებულივით გამოიყურება, – შენიშნა მეორემ.

– გილოცავ, მაილი საშინელი შესახედავი ხარ, – დაწერა მესამემ.

თუმცა, ისეთებიც გამოჩნდნენ, რომლებიც კრიტიკოსებს ეკამათებოდნენ და საირუსს იცავდნენ.

– კმარა ნეგატივის გავრცელება მის ვარცხნილობასთან დაკავშირებით! მაილმ თავად განაცხადა, რომ სწორედ ასეთი ვარცხნილობა სურს და მორჩა. ასე რომ, მოკეტეთ! – დაწერა მომღერლის ერთ-ერთმა თაყვანისმცემელმა.

სათამაშო ზვიგენმა ბავშვი ბრმა ტყვიისგან გადაარჩინა



ამერიკის ვისკონსინის შტატის ქალაქ მედისონში ბავშვის საძინებელში შემთხვევით ბრმა ტყვია შევარდა.

ორმხრივი სროლა ორმა კონკურენტმა დანაშაულებრივმა დაჯგუფებამ მოაწყო. ტყვიები რამდენიმე სახლსა და ქუჩაში გაჩერებულ ავტომობილს მოხვდა.

ერთ-ერთმა ტყვიამ საძინებელში შეაღწია, სადაც სამი წლის ბავშვს ეძინა და მის რბილ სათამაშო ზვიგენს მოხვდა, რომელიც მისგან 12 სანტიმეტრში იმყოფებოდა და რომლითაც დაძინების წინ თამაშობდა.

შემთხვევის ადგილზე მისულმა პოლიციელებმა სროლის ადგილზე 45 ტყვიის მასრა აღმოაჩინეს. ცნობები დაშავებულების შესახებ არ ვრცელდება და ჯერჯერობით არავინ დაუკავებიათ.

წყლიდან ამომხტარმა პითონმა ირემი გადაყლაპა

ინდოეთის მახარაშტრას შტატში წყალსატევთან დაყენებულმა სათვალთვალო ვიდეოკამერამ გადაიღო პითონის მიერ ირემზე ნადირობის კადრები.

წყლის დასალევად მისულმა ოთხმა ირემმა ვერ შენიშნა უზარმაზარი გველი, რომელიც წყალქვეშ იმალებოდა. როდესაც ერთ-ერთი მათგანი ქვეწარმავლისთვის ხელმისაწვდომ მანძილზე აღმოჩნდა, ის დიდი სისწრაფით თავს დაესხა ცხოველს, პირი თავში სტაცა, გარშემო შემოეხვია და გაგუდვა დაუწყო, შემდეგ კი მთლიანად გადაყლაპა.

ვიდეო ინდოეთის სატყეო მეურნეობის თანამშრომელმა სუსანტა ნანდამ ინტერნეტში გამოაქვეყნა.

– როდესაც პითონი ნანადირევს კლავს, ისინი ამ დროს ჩასაფრების მეთოდით სარგებლობენ, ხტებიან, მსხვერპლს კბილებს ასობენ და ამ ყოველივეს სულ რაღაც 50 მილიწამში აკეთებენ, – დაწერა მან კომენტარში.

ეზოში გამოსულ მამაკაცს ისარი მუხლში შეერჭო

ამერიკის ილინოისის შტატის ქალაქ ოროარაში საკუთარ ეზოში გამოსულ მამაკაცს ისარი მოხვდა.

ინციდენტი იმ დროს მოხდა, როდესაც მამაკაცი ეზოში ნაგებობას ღებავდა. მისი თქმით, მან ძლიერი ტკივილი იგრძნო, ქვევით დაიხედა და დაინახა, რომ ფეხიდან ისარი ჰქონდა გამოჩრილი. დაშავებული საავადმყოფოში გადაიყვანეს. მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

მისმა მეზობელმა, 25 წლის დანიელ სმორჩევსკიმ აღიარა, რომ ინციდენტის დროს საკუთარ ეზოში ირმის ფორმის სამიზნეს მშვილდ-ისარს ესროდა. ერთ-ერთი ისარი მიზანს ასცდა და ის ვერ იპოვა. დიდი ალბათობით, მეზობელს ფეხში სწორედ ეს ისარი შეერჭო.

შემთხვევის ადგილზე პოლიციელების მისვლის მომენტისთვის სმორჩევსკიმ მშვილდ-ისრები ავტოფარეხში დამალა. მას გაუფრთხილებელი ქმედება ედება ბრალად.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა. თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52

განცხადებები

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

თუ საქართველო ევროპაზე გავიდა...

ბუქარესტში გაიმართა ევრო-2020-ის წილისყრა. თუ საქართველო ფინალში გავიდა, მეტოქეები იქნებიან ჰოლანდია, უკრაინა და ავსტრია.

კენჭისყრის შედეგები ასეთია:

ა ჯგუფი (რომი, ბაქო): იტალია, შვეიცარია, თურქეთი, უელსი;

ბ ჯგუფი (კოპენჰაგენი, სანკტ პეტერბურგი): ბელგია, რუსეთი, დანია, ფინეთი;

ც ჯგუფი (ამსტერდამი, ბუქარესტი): უკრაინა, ჰოლანდია, ავსტრია, ერთა ლიგის დ დივიზიონში გამარჯვებული;

დ ჯგუფი (ლონდონი, გლაზგო): ინგლისი, ხორვატია, ჩეხეთი, ერთა ლიგის ც დივიზიონში გამარჯვებული;

ე ჯგუფი (ბილბაო, დუბლინი): ესპანეთი, პოლონეთი, შვედეთი, ერთა ლიგის ბ დივიზიონში გამარჯვებული;

ფ ჯგუფი (მიუნხენი, ბუქარესტი): გერმანია, საფრანგეთი, პორტუგალია, ერთა ლიგის ა დივიზიონში გამარჯვებული.

თუ ა დივიზიონიდან რუმინეთი გავა, მაშინ მასპინძლის ფაქტორის გათვალისწინებით (რადგან ევროპაზე თამაშები რუმინეთშიც ტარდება), დ დივიზიონიდან გასული გადაინაცვლებს ფ ჯგუფში – გერმანიასთან, საფრანგეთთან და პორტუგალიასთან. ასე რომ, არსებობს შანსი, რომ საქართველო გავიდეს ევროპაზე და სწორედ ამ „სიკვდილის ჯგუფში“ მოხვდეს.

ერთა ლიგაში გუნდები ასე დაწყვილდნენ:

ა დივიზიონი

ნახევარფინალები: ისლანდია-რუმინეთი, ბულგარეთი-უნგრეთი;

ფინალში მასპინძელი იქნება ბულგარეთი ან უნგრეთი.

ბ დივიზიონი

ნახევარფინალები: ბოსნია-ჩრ.ირლანდია, სლოვაკეთი-ირლანდია;

ფინალში მასპინძელი იქნება ბოსნია ან ჩრდილოეთ ირლანდია.

ც დივიზიონი

ნახევარფინალები: შოტლანდია-ისრაელი, ნორვეგია-სერბეთი;

ფინალში მასპინძელი იქნება ნორვეგია ან სერბეთი.

დ დივიზიონი

ნახევარფინალები (26 მარტს): საქართველო-ბელარუსი, ჩრ.მაკედონია-კოსოვო;

ფინალში (31 მარტს) მასპინძელი იქნება საქართველო ან ბელარუსი.

როგორც იცით, ევრო 2020 12 სხვადასხვა ქვეყანაში გაიმართება 12 ივნისიდან 12 ივლისამდე. ფორმატი იგივე იქნება, როგორც წინა ევროპაზე და ასევე, 1986, 1990 და 1994 წლების მუნდიალებზე: 24 გუნდი, 6 ჯგუფი და მერვედფინალში 2-2 გამარჯვებულის გარდა, 4 საუკეთესო მესამეადგილოსნის გასვლა.

თუ საქართველო გავა, პირველ მატჩს 14 ივნისს ავსტრიასთან გამართავს ბუქარესტში; მეორეს 18 ივნისს ასევე ბუქარესტში უკრაინასთან და 22 ივნისს ამსტერდამში ჰოლანდიასთან.

ეს იმ შემთხვევაში, თუ რუმინეთი ვერ გავა ევროპაზე.

თბილისის დინამოს მე-17 გაელვება

დასაწყისი მე-8 გვერდზე

ტორპედო: შოვნაძე, ჭიჭინაძე, ხურცილავა, ცეცხლაძე, ჩუკვურა, ფონიავა (აბულაძე 62), თ.კაპანაძე, ციცქიშვილი, ბოჭორიშვილი (ჩოგაძე, 55), დოლიძე (ქორიძე 73), გრიგალაშვილი

ჩიხურა: ჰამზიჩი, მარკოზაშვილი, მაისაშვილი, ლეკვთაძე (ჩიტეიშვილი 87), კორიფაძე, დეკანოიძე (ერგემლიძე 73), სარდალიშვილი, ჩიხლაძე (მამასახლისი 64), ჩიკვაიძე, არდაზშვილი, კაშია

ამ მატჩს მხოლოდ ის დატვირთვა ჰქონდა, თუ რომელი გუნდი დაიკავებდა მე-5 ადგილს. ტორპედოც ფრეც ჰქოფნიდა, მაგრამ მოედანზე უფრო მოტივირებული ჩიხურა გავიდა და მოიგო კიდეც.

ანგარიში თეიმურაზ მარკოზაშვილმა გახსნა, რომელსაც მალევე რაფაელ ჩუკვურამ უპასუხა, მაგრამ დავით მაისაშვილმა გადამწყვეტი გოლი გაიტანა.

რუსთავი-დილა 2:2

რუსთავი. ტექნიკური ცენტრი

0:1 სპანდერაშვილი (1), 0:2 წიქარიძე (9), 1:2 ბაირამოვი (61), 2:2 სიჭინავა (76)

რუსთავი: მამარდაშვილი, ნოზაძე, სილაგაძე, ბ.ქავთარაძე, სიჭინავა, პავლოვი, კიტეიშვილი (ასათიანი 90), თევზაძე (ლაცაბიძე 46), ლეჟავა (იმნაძე 46), ბაირამოვი, ბუგულოვი

დილა: ტიტვინიძე, ნონიკაშვილი (ალიმბარაშვილი 85), სპანდერაშვილი (გოშთელიანი 64), ა.სანტოსი, კერელეიშვილი, იენდეუნტი, წიქარიძე (მირცხულავა 71), გაგნიძე, კოვტალიუკი, ქურდაძე, ე.სანტოსი

რუსთავი, რომელიც ჯერ კიდევ ეროვნულ ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად იბრძვის, გორის დილას დაუპირისპირდა და რთულ ბრძოლაში ქულის მოპოვება შეძლო.

მატჩის პირველ 10 წუთში სტუმრები სპანდერაშვილის და წიქარიძის გოლების წყალობით უკვე 2:0 იგებდნენ, თუმცა მე-2 ნახევარში თამაშის სცენარი რადიკალურად შეიცვალა და რუსთაველელებმა 2 გოლის გატანაც შეძლეს. გატანილი გოლებით თავი ბაირამოვმა და სიჭინავამ გამოიჩინეს.

ფრემ მასპინძლებს სატურნირო ცხრილში მე-8 პოზიცია გაუნაღდა და ფლეი აუტში ვარლამ კილასონიას გუნდი მე-2 ლიგაში მე-3 პოზიციაზე გასულ თელავს დაუპირისპირდება.

საბურთალო-სიონი 5:1

თბილისი. მიხეილ მესხი

1:0 ლ.კოხრეიძე (2), 1:1 ტატანაშვილი (20), 2:1 ლ.კოხრეიძე 3:1 გაბედავა (57), 4:1 მალი (60), 5:1 ალთუნაშვილი (86)

საბურთალო: კუპატაძე, მალი, მარგველაშვილი, გაბედავა, ლაკვეხელიანი, ტერა (ყენია 65), კაკუბავა, ალთუნაშვილი, ლ.კოხრეიძე, როლოვიჩი (ცნობილაძე 46), გორგიაშვილი (რეხვიაშვილი 46)

სიონი: გოშაძე, ჩაჩუა, თარხნიშვილი, კახაბრიშვილი (სუხიაშვილი 46), ტატანაშვილი, თარგამაძე (უგულავა 46), ცაცკრიალაშვილი, ჯაფიაშვილი (თომაშვილი 63), აფაქიძე, გვარაძე, ივანიშვილი

რუსთავში გამართული შეხვედრის პარალელურად მიმდინარეობდა მატჩი, რომელშიც საბურთალო ბოლნისის სიონს მასპინძლობდა. სწორედ ამ თამაშის შედეგი გაარკვევდა რომელ პოზიციაზე დაასრულებდა რეგულარულ სეზონს ბოლნისური გუნდი. შეხედრის პირველივე წუთზე უმოტივაციო მასპინძლებმა ანგარიში ლაშა კოხრეიძის მიერ გატანილი გოლით გახსნეს, რომელსაც მე-20 წუთზე დიმიტრი ტატანაშვილმა უპასუხა და დაპირისპირებაში ინტრიგა დააბრუნა.

მე-2 ტაიმი საბურთალოს დიდი უპირატესობით წარიმართა, რაც 4 გატანილ გოლშიც აისახა. ბოლნისის სიონის კარში გოლები კოხრეიძემ, გაბედავამ, მალიმ და ალთუნაშვილმა გაიტანეს.

ამრიგად, ბოლნისელებმა სეზონი მე-9 ადგილზე დაასრულეს და ფლეი აუტში სამტრედიას დაუპირისპირდებიან.

საბოლოო ცხრილი:

1.დინამო(თბ)	36	23	6	7	70-31	75
2.დინამო(ბთ)	36	21	7	8	57-31	70
3.საბურთალო	36	21	7	8	67-36	70
4.ლოკომოტივი	36	17	4	15	44-46	55
5.ჩიხურა	36	12	11	13	48-44	47
6.ტორპედო	36	12	8	16	53-54	44
7.დილა	36	11	10	15	40-44	43
8.რუსთავი	36	9	11	16	40-56	38
9.სიონი	36	10	8	18	38-80	38
10.ვიტ ჯორჯია	36	4	8	24	15-50	20

მოამზადა მიხეილ ყორეოლიანმა

ფეხბურთი

30 ნოემბერი

ფეხბურთი

ინგლისი. ჩემპიონიგა

ნიუკასლი-სიტი 2:2
ბარნლი-კრ.პალასი 0:2
ლივერპული-ბრაიტონი 2:1
ტოტენჰემი-ბორნმუთი 3:2
ჩელსი-ვესტ ჰემი 0:1
საუთჰემპტონი-უოტფორდი 2:1

სატურნირო ცხრილი:

1.ლივერპული	14	13	1	0	32-12	40
2.ლესტერი	13	9	2	2	31-8	29
3.სიტი	14	9	2	3	39-16	29
4.ჩელსი	14	8	2	4	28-20	26
5.ტოტენჰემი	14	5	5	4	24-21	20
6.ვულვზი	13	4	7	2	18-16	19
7.შეფილდი	13	4	6	3	16-12	18
8.ბარნლი	14	5	3	6	20-20	18
9.არსენალი	13	4	6	3	18-19	18
10.კრ.პალასი	14	5	3	6	13-18	18
11.მანჩესტერი	13	4	5	4	18-15	17
12.ბორნმუთი	14	4	4	6	18-20	16
13.ვესტ ჰემი	14	4	4	6	17-23	16
14.ნიუკასლი	14	4	4	6	13-22	16
15.ბრაიტონი	14	4	3	7	16-21	15
16.ასტონ ვილა	13	4	2	7	19-20	14
17.ევერტონი	13	4	2	7	13-20	14
18.საუთჰემპტონი	14	3	3	8	15-32	12
19.ნორვიჩი	13	3	1	9	13-28	10
20.უოტფორდი	14	1	5	8	9-28	8

ინგლისი. ჩემპიონიგა

ჩარლტონი-უენსდი 1:3
ბარნსლი-ჰალი 3:1
ბირმინგემი-მილუოლი 1:1
ბრენტფორდი-ლუთონი 7:0
ბრისტოლი-ჰადერსფილდი 5:2
დერბი-ქპრ 1:1
ლიდსი-მიდლსბრო 4:0
ნოტინგემი-კარდიფი 0:1
სტოკი-ბლექბერნი 1:2
უიგანი-რედინგი 1:3

გერმანია. ბუნდესლიგა

ჰერტა-დორტმუნდი 1:2
კიოლნი-აუგსბურგი 1:1
პადერბორნი-ლაიფციგი 2:3
ჰოფენჰაიმი-ფორტუნა 1:1
ბაიერნი-ლევერკუზენი 1:2

სატურნირო ცხრილი:

1.ლაიფციგი	13	8	3	2	35-15	27
2.გლადბახი	12	8	1	3	24-13	25
3.შალკე	13	7	4	2	24-16	25
4.ბაიერნი	13	7	3	3	34-18	24
5.დორტმუნდი	13	6	5	2	28-19	23
6.ფრაიბურგი	12	6	4	2	21-13	22
7.ლევერკუზენი	13	6	4	3	20-17	22
8.ვოლფსბურგი	12	5	5	2	13-10	20
9.ჰოფენჰაიმი	13	6	3	4	18-20	21
10.აინტრახტი	12	5	2	5	21-18	17
11.უნიონი	13	5	1	7	16-19	16
12.აუგსბურგი	13	3	5	5	18-25	14
13.ფორტუნა	13	3	3	7	16-24	12
14.მაინცი	12	4	0	8	17-31	12
15.ვერდერი	12	2	5	5	19-26	11
16.ჰერტა	13	3	2	8	18-27	11
17.კიოლნი	13	2	2	9	12-28	8
18.პადერბორნი	13	1	2	10	16-32	5

გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

ბოზუმი-აუე 2:0
დინამო-კილი 1:2
ნირნბერგი-ვისბადენი 0:2
ზ.პაული-ჰანოვერი 0:1

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

ალავესი-რეალი 1:2
სოსიედადი-ეიბარი 4:1
მალიორკა-ბეტისი 1:2
ვალენსია-ვილიარეალი 2:1

სატურნირო ცხრილი:

1.რეალი	14	9	4	1	30-11	31
2.ბარსელონა	13	9	1	3	35-16	28
3.სევილია	14	8	3	3	18-14	27
4.სოსიედადი	15	8	2	5	26-18	26
5.ატლეტიკო	14	6	7	1	16-9	25
6.ბილბაო	14	5	5	4	15-9	23
7.ვალენსია	15	6	5	4	22-21	23
8.ხეტაფე	14	5	6	3	19-16	21
9.გრანადა	14	6	3	5	20-18	21
10.ოსასუნა	14	4	7	3	17-15	19
11.ბეტისი	15	5	4	6	19-25	19
12.ვილიარეალი	15	5	3	7	28-24	18
13.ალავესი	15	5	3	7	17-20	18
14.ვალიადოლიდი	15	4	6	5	14-18	18
15.ლევანტე	13	5	2	6	16-16	17
16.ეიბარი	15	4	3	8	15-27	15
17.მალიორკა	15	4	2	9	14-24	14
18.სელტა	15	3	4	8	10-20	13
19.ესპანიოლი	14	2	3	9	8-24	9
20.ლეგანესი	14	1	3	10	8-24	6

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

ალკორკონი-უესკა 0:2
მირანდესი-ხიხონი 0:0
პონფერადინა-ალბასეტე 1:1
ტენერიფე-ალმერია 1:3
სარაგოსა-ხირონა 3:3

იტალია. სერია ა

ბრეშა-ატალანტა 0:3
ჯენოა-ტორინო 0:1
ფიორენტინა-ლეჩე 0:1

სატურნირო ცხრილი:

1.იუვენტუსი	13	11	2	0	23-10	35
2.ინტერი	13	11	1	1	29-12	34
3.ლაციო	13	8	3	2	30-14	27
4.ატალანტა	14	7	4	3	34-21	25
5.კალიარი	13	7	4	2	25-14	25
6.რომა	13	7	4	2	23-14	25
7.ნაპოლი	13	5	5	3	22-16	20
8.პარმა	13	5	3	5	20-17	18
9.ვერონა	13	5	3	5	11-11	18
10.ფიორენტინა	14	4	4	6	18-21	16
11.ტორინო	14	5	2	7	16-20	17
12.მილანი	13	4	2	7	12-17	14
13.ლეჩე	14	3	5	6	18-27	14
14.უდინეზე	13	4	2	7	9-20	14
15.სასუოლო	12	4	1	7	22-23	13
16.ბოლონია	13	3	4	6	18-22	13
17.სამპდორია	13	3	3	7	9-20	12
18.ჯენოა	14	2	4	8	15-28	10
19.სპალი	13	2	3	8	8-19	9
20.ბრეშა	13	2	1	10	10-26	7

იტალია. სერია ბ

ვენეცია-ბენევენტო 0:2
კრემონეზე-ლივორნო 0:0
კროტონე-ჩიტადელა 1:1
ფროზინონე-ემპოლი 4:0
სალერნიტანა-ასკოლი 1:1

საფრანგეთი. 1 ლიგა

სტრასბური-ლიონი 1:2
ლილი-დიჟონი 1:0
მონპელიე-ამიენი 4:2
ნიმი-მეცი 1:1
ნიცა-ანჟე 3:1
რეიმსი-ბორდო 1:1

სატურნირო ცხრილი:

1.პსჟ	14	11	0	3	30-8	33
2.მარსელი	15	8	4	3	20-12	28
3.ანჟე	15	7	3	5	19-19	24
4.მონპელიე	15	6	5	4	18-12	23
5.ბორდო	15	6	5	4	21-17	23
6.ლიონი	15	6	4	5	24-15	22
7.ლილი	15	6	4	5	19-15	22
8.სტ.ეტიენი	14	6	4	4	15-17	22
9.რეიმსი	15	5	6	4	11-8	21
10.ნანტი	14	6	2	5	12-13	20
11.ნიცა	15	6	2	7	20-22	20
12.რენი	13	5	3	5	17-15	18
13.სტრასბური	15	5	3	7	16-16	18
14.მონაკო	14	5	3	6	21-24	18
15.ბრესტი	15	4	6	5	16-19	18
16.ამიენი	15	4	4	7	19-28	16
17.მეცი	15	3	6	6	13-20	15
18.დიჟონი	15	4	3	8	9-16	15
19.ნიმი	14	2	6	6	12-18	12
20.ტულუზა	14	3	3	8	15-27	12

საფრანგეთი. მე-2 ლიგა

სოშო-ტრუა 0:1

ნიდერლანდები. ეროვნული დივიზიონი

ტილბურგი-სპარტა 4:0
სიტარდი-გრონინგენი 1:0
ერაკლესი-დენ ჰააგი 4:0

პორტუგალია. პრიმეირა ლიგა

მორეირენშე-ავიში 3:2
ბენფიკა-მარიტიმუ 4:0
პორტიმორენშე-ფამალიკაო 2:1

ხუსეთი. პრემიერლიგა

კრილია-უფა 0:1
როსტოვი-ურალი 0:0
ახმატი-რუბინი 1:1
რუბინის გოლი
ხვიჩა კვარაცხელიამ გაიტანა

შვეიცარია. სუპერლიგა

ნევშატელი-ციურიხი 0:1
სიონი-თუნი 2:1

მოტლანდია. პრემიერლიგა

აბერდინი-სტ.მირენი 2:1
ლივინგსტონი-ჰამილტონი 0:0
მოზერველი-სტ.ჯონსონი 4:0
ჰიბერნიანი-კილმანროკი 2:2

ავსტრია. ბუნდესლიგა

აუსტრია-პარტბერგი 5:0
ტიროლი-შტურმი 1:5
შტურმის მე-5 გოლი
ოთარ კიტეიშვილმა გაიტანა
სტ.პოლენი-მატერსბურგი 0:0

ბელგია. ა დივიზიონი

ბრიუგე-მუსკრონი 1:0
ვარეგემი-ეუპენი 1:0
შარლერუა-ბევერენი 2:0
გენკი-სტ.ტრუიდენი 1:2

საბერძნეთი. სუპერლიგა

ლარისა-ვოლოსი 2:1
პანიონიოსი-პანეთოლიკოსი 3:0
პანიონიოსის პირველი გოლი
ბაჩანა არაბულმა გაიტანა
ოფი-აეკი 1:0

თურქეთი. სუპერლიგა

რიზე-ქონია 3:1
სივასი-ქაშიმფაშა 2:0
ალანია-ანკარაგიუჯიუ 5:0
გიოზთეფე-ფენერბახჩე 2:2

ჩეხეთი. 1 ლიგა

ზლინი-სლოვაკეკო 2:1
სიგმა-ლიბერეცი 1:0
პრჟიბრჟამი-სპარტა 0:1

პოლონეთი. ექსტრაკლასა

არკა-პოგონი 1:1
პიასტი-სლასკი 0:3
ლეგია-კორონა 4:0
ლეგიას მე-3 გოლი
ვაკო გვილიამ გაიტანა

უკრაინა. პრემიერლიგა

ზორია-კარპატი 2:0
ლვოვი-დნიპრო 0:2
ვორსკლა-კოლოსი 1:0

მოამზადა მიხეილ ყორეოლიანმა

სიტყვიერი



1. სასწორის თეფში; 2. მედეა ჩახავას კინოროლი; 3. დამხმარე თეორემა; 4. სასმისი; 5. რასაც ყური აღიქვამს; 6. ნადავლი; 7. სანადირო თოფის წვრილი ტყვიები; 8. ჭამის სურვილი; 9. ზღვის ბრტყელი თევზი; 10. ზღვის წყალმარჩხი უბე; 11. ოფიცრის წოდებულება არმიაში; 12. ... კობზონი; 13. იაპონური ჭიდაობა; 14. მამრობითი სქესის ქათამი; 15. ბუნებრივი საღებავი; 16. ლენტი; 17. მდინარე, რომელშიც ქრისტე მოინათლა; 18. ციხესიმაგრე და საპყრობილე პარიზში (ძვ.); 19. სპორტული შეჯიბრების მსაჯი; 20. ... ფარულავა; 21. ხელოვნების დარგი; 22. სახელმწიფო აფრიკაში; 23. ჭამა ერთ ჯერობაზე; 24. ქურციკი; 25. ჰიგიენური დაწესებულება; 26. მსხვილი მახრჩობელა გველი; 27. ჩრდილოეთი; 28. სარტყმელი საკრავი; 29. სოფელი თელავის რაიონში; 30. პატარა სარწყავი არხი; 31. ფანი ...; 32. ციფრი; 33. გერმანული ავტომარკა; 34. ჰერას ქურუმი ქალი.

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოხოდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. სომელიე; 2. ქოქოსი; 3. ალტრუიზმი; 4. კამორა; 5. ვესტერნი; 7. ცემი; 11. სანქცია; 13. თურქეთი; 15. თოვლი; 16. ბადრო; 18. ეზოპე; 19. დანია.

თარაზულად: 6. ოვაცია; 8. კობალტი; 9. კამპუსი; 10. ლარიქსი; 12. ფიატი; 14. ჰაკარი; 17. მარმელადი; 20. ბოცმანი; 21. ალმაზა; 22. პოლისი; 23. ჯოკოვიჩი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. სუპორტი; 2. მაჭახელა; 3. რივერა; 4. ონიმა; 5. ბირთვისი; 8. ფილიდორი; 12. ქისი; 13. საგურამო; 14. ენესკუ; 16. გარინჩა; 18. კობზა; 20. სვია.

თარაზულად: 6. ფუკუსიმა; 7. კლირინგი; 8. ფელახი; 9. გრემი; 10. ხერგიანი; 11. რეაქტორი; 15. მასტროიანი; 17. დიბალა; 19. კონსტებლი; 21. ბაობაბი; 22. კორონაცია; 23. ლატავრა.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

2 დეკემბერი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.9695

ევრო — 3.2676

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.8292

100 რუსული რუბლი — 4.6268

ამინდის პროგნოზი 2 დეკემბერი



3 დეკემბრიდან

წიგნი I
რჩეული საბავშვო მოთხრობები
(ორ წიგნად)

რჩეული მოთხრობების ორტომეული მოიცავს ქართველი მწერლების საბავშვო ნაწარმოებებს. წიგნში შესულია 46 ავტორის 184 ნაწარმოები. ტექსტს ყველგან ახლავს რუბრიკა „სიტყვის არსი", რომელშიც ლექსიკონის სახით განმარტებულია ყმაწვილებისათვის უცნობი, გაუგებარი ან ნაკლებად გასაგები სიტყვები და ფრაზები.

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

ციხის ზედამხედველმა პატიმართან რომანი გააბა და სასამართლოში აღმოჩნდა

დიდი ბრიტანეთის უდიდესი საპატიმროს HM Prison Berwyn-ის თანამშრომელი, ზედამხედველი ქალი პატიმართან ინტიმურ ურთიერთობაშია ეჭვმიტანილი.

27 წლის აიშა განი სასამართლოს წინაშე 29 წლის დამნაშავე კურამ რაზაკთან რომანტიკული ურთიერთობის გაბმის ბრალდებით წარდგა, რომელიც სასჯელს ძარცვისთვის იხდის. განსასჯელის ადვოკატის თქმით, ქალი აღიარებს, რომ 2018 წლის 31 ივნისიდან 20 ნოემბრის ჩათვლით უკანონოდ იქცეოდა.

განი, რომელიც უელსის რექსჰემის საგრაფოს სოფელ ჯონსთაუნში ცხოვრობს, საქმის სასამართლო მოსმენამდე, რომელიც 23 დეკემბრისთვის არის დანიშნული, გირაოთია გათავისუფლებული. უახლოეს დღეებში პატიმარი რაზაკი ვიდეოკავშირის გამოყენებით ჩვენებას მისცემს.

ბელა ჰადიდი მინის ყუთში ჩაკეტეს

პალესტინური წარმოშობის ამერიკელმა სუპერმოდელმა ბელა ჰადიდმა გამოაქვეყნა კადრი გადაღებიდან, რომელშიც მას მინის ყუთში ათავსებენ. ვიდეოჩანაწერი ინსტაგრამში მის გვერდზე გამოქვეყნდა.

სოციალურ ქსელში გამოქვეყნებულ ფრაგმენტში გოგონა გამჭვირვალე ყუთში მუხლებზე ჩაცუცქული იმყოფება, რომელსაც ზევიდან გადამღები ჯგუფი მინისავე სახურავს ამაგრებს. მთელი ეს კონსტრუქცია აკვარიუმს წააგავს, ხოლო მასში მოთავსებული სუპერმოდელი ექსპონატს. ჰადიდს იასამნისფერი წყალში ჩასაყვინთად განკუთვნილი კოსტიუმი და უჯრედებიანი მინი-კაბა აცვია.

ვიდეოფრაგმენტს თან ახლდა წარწერა: „ეს მე ვიკეტები საკუთარ სასტუმრო ნომერში 27-დღიანი განუწყვეტელი მუშაობის შემდეგ".

სოციალურ ქსელში სუპერმოდელის მიერ გამოქვეყნებულ ვიდეოს ფრაგმენტს, მისი ხელმომწერების მრავალრიცხოვანი კომენტარები მოჰყვა.

– სუნთქვას ახერხებ? – კითხულობს ერთ-ერთი თაყვანისმცემელი.

– როგორ სუნთქავ? – დაინტერესდა მეორე.

– იმედი მაქვს, რომ ისინი დარწმუნდნენ იმაში, რომ შიგნით სუნთქვას ახერხებ, – განიცდიდა მესამე.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

2 დეკემბრისათვის

ვერძი – სიჯიუტე ხეირს არ დაგაყრით. ხანდახან კომპრომისზე წასვლა საქმეს უფრო წაადგება. ერიდეთ ახალ ნაცნობობას. **კურო** – ჰარმონიული დღეა. სამართლიანობა ზეიმობს. მიზანს საკმაოდ იოლად აღწევთ. **ტყუპები** – დღის პირველ ნახევარში წვრილმან საქმეებზე დიდ დროს დახარჯავთ. საღამო პოზიტიური იქნება. **კირჩხიბი** – ოპტიმისტურად ხართ განწყობილი. კარგი პერიოდია ქალაქგარეთ გასასვლელად, სამოგზაუროდ. **ლომი** – ახლობელთან კონფლიქტი გელით. სკანდალს მხოლოდ თავდაჭერითა და გონივრულობით აიცილებთ. **ქალწული** – მეგობრები საკმაოდ ჭკვიანურ რჩევას მოგცემენ, რაც სწორი გადაწყვეტილების მიღებაში დაგეხმარებათ. **სასწორი** – გაიფართოვეთ ნაცნობობის წრე. გამორიცხული არ არის, თქვენმა კომუნიკაბელურობამ ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე გავლენა მოახდინოს. **ღრიანცალი** – საკუთარ პრინციპებს არ უღალატოთ. სპონტანურ გადაწყვეტილებებს ნუ მიიღებთ. **მშვილდოსანი** – ჰარმონიული დღეა. შეგიძლიათ, თამამად გარისკოთ. ნავაჭრი იღბლიანი იქნება, ოღონდ ეს ძვირფას ნივთებს არ ეხება. **თხის რქა** – გადაღლილი ხართ. სასიცოცხლო პოტენციალი მკვეთრად ქვეითდება. ერიდეთ სასიყვარულო თავგადასავლებს. **მერწყული** – სიჯიუტე ხეირს არ დაგაყრით. ხანდახან კომპრომისზე წასვლა საქმეს უფრო წაადგება. ერიდეთ ახალ ნაცნობობას. **თევზები** – ფინანსებს გაუფრთხილდით. კომერციული საქმიანობა დღეს არასასურველია. მეტი ყურადღება მიაქციეთ ბავშვებს.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

•••

ორი ნაცნობი საუბრობს, ერთი მეორეს ეკითხება:

– როგორ ემზადები ახალი წლისთვის, რას აპირებ?

– ლექსს ვსწავლობ, შემდეგ კი მეზობლებს ჩამოვუვლი.

•••

ღამეა. ქმარი სახლში არ არის, ცოლი ისტერიკაშია. ამ დროს კარზე ზარია. ცოლი აღებს, იქ კი მოღიმარი ქმარი დგას ხელში ყვავილებითა და ტორტით.

– ძვირფასო, რა მოხდა? ეს მე მომართვი?

– შენ, ძვირფასო, შენ. საძინებელში შევიდეთ.

– ასე ერთბაშად? მოდი, ჩაი დავლიოთ, ტორტით, მანამდე კი ყვავილებს ვაზაში ჩავაწყობ.

– ეგ ყველაფერი შემდეგ! საძინებელში შევიდეთ!

– ძვირფასო... იცი, რა...

– შევიდეთ!

– ძვირფასო, არ შემიძლია, იცი, ახლა კრიტიკული დღეები მაქვს!

– რა იყო, ყველამ მოილაპარაკეთ?

•••

ცოლი ქმარს საყვედურობს:

– ეს გამიკეთე, ის გააკეთე! მე რა, შენი მოსამსახურე ვარ?!

– ნამდვილად, მოსამსახურეს ამდენი ფული არ დასჭირდებოდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ბერა ივანიშვილი და ნანუკა გუდავაძე ბიჭის მშობლები გახდნენ



მომღერალი ბერა ივანიშვილი და მისი მეუღლე ნანუკა გუდავაძე ბიჭის მშობლები გახდნენ.

მათი პატარა 29 ნოემბერს დაიბადა. ახალბედა მშობლებმა ჩვილს ბერუკა დაარქვეს.

შვილთან გადაღებული ფოტო ბერამ სოციალურ ქსელში გაავრცელა:

– ბერუკა ივანიშვილი. 29.11.2019.

როგორც მოსალოდნელი იყო, ახალშობილის სახელმა საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია, ნაწილმა სახელი მოიწონა, ნაწილმა კი დაიწუნა. ნაწილმა დაასკვნა, რომ ბერუკა მისი მშობლების – მამის, ბერას სახელის პირველი მარცვლისა და დედის – ნანუკას ბოლო მარცვლის ერთობლიობაა, მეორე ნაწილი კი ამტკიცებს, რომ რაჭაში ბერას სწორედ ბერუკა ჰქვია.

ბერა ივანიშვილი და ნანუკა გუდავაძე გასული წლის სექტემბერში დაქორწინდნენ, ქორწინებიდან ერთი წლის შემდეგ კი მათი პირველი შვილიც დაიბადა.

მსახიობი ზაზა ლებანიძე გარდაიცვალა

რუსთაველის თეატრის მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი ზაზა ლებანიძე 84 წლის ასაკში გარდაიცვალა.

მას დაბადების დღე გარდაცვალების წინა დღეს ჰქონდა.

ზაზა ლებანიძემ მთელი ცხოვრება საყვარელ პროფესიას დაუთმო. იგი სხვადასხვა წლებში სოხუმის, რუსთავისა და მარჯანიშვილის თეატრების მსახიობი იყო, ბოლო 44 წლის განმავლობაში კი რუსთაველის თეატრში მოღვაწეობდა.

ერთ-ერთი ბოლო როლი მსახიობმა რეჟისორ გოჩა კაპანაძის გახმაურებულ სპექტაკლ „მოხუც ჯამბაზებში" ითამაშა, რომელიც მუდმივად ანშლაგებით მიმდინარეობდა და ზაზა ლებანიძის მიერ შესრულებული სიმღერა მაყურებელს ყოველთვის გამორჩეულად უყვარდა.

სამწუხარო ინფორმაცია თეატრმცოდნე ნიკოლოზ წულუკიძემ გაავრცელა:

– დიდებული არტისტი იყო ზაზა ლებანიძე – 1935-2019.

„საქართველოს ვარსკვლავი" ნიკა კალანდაძემ დატოვა



მუსიკალური შოუ „საქართველოს ვარსკვლავი" კიდევ ერთმა კონკურსანტმა დატოვა. ამჯერად მესამე საკონკურსო დღე წარუმატებელი ნიკა კალანდაძისთვის აღმოჩნდა.

105.351 ხმიდან ყველაზე დიდი რაოდენობა მიიღო თორნიკე ყიფიანმა და ის ლიდერი უკვე მეორედ გახდა. შოუდან გავარდნის კანდიდატები მარიამ გოგიბერიძე და ნიკა კალანდაძე გახდნენ, საბოლოოდ კი შოუს ნიკა კალანდაძე გამოეთიშა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

თბილისის დინამოს მე-17 გაელვება

<u>დინამო (თბ)-ვიტ ჯორჯია 2:0</u>

თბილისი. დინამო არენა

1:0 კუტალია (36), 2:0 დაფე (87)

დინამო: პერალესი, იაშვილი, მონხიღლი, კობოური, კაპლიენკო, პაპავა, ნინუა, შულაია (დაფე 66), ქავთარაძე (ზარიამ 72), კუხიანიძე (შიშკა 82), კუტალია

ვიტ ჯორჯია: ისერგიშვილი, ნუსუევი (ვეკუა 64), ქისიევი, ნემსაძე, კიკალიშვილი, ვარძელაშვილი (თათხაშვილი 84), ხუციანიძე, ნანობაშვილი, მუზაშვილი (აშორდია 88), სეხნიაშვილი, მუსელიანი

თბილისის დინამომ გასაკეთებელი საქმე გააკეთა – დინამო არენაზე 2:0 დაამარცხა ვიტ ჯორჯია და საქართველოს ჩემპიონის ტიტულს დაეუფლა. საქართველოს საუკეთესო გუნდმა მე-17 ჩემპიონობა იზეიმა.

რთული მატჩი არ გამოდგა. მართალია, ვეტერინარები შიგადაშიგ იჩხვლიტებოდნენ, მაგრამ სერიოზული შანსი არ მისცემიათ. დინამომ კი უამრავი საგოლე მომენტიდან 2 გამოიყენა, რაც საკმარისი აღმოჩნდა.

ანგარიში ლევან კუტალიამ გახსნა, ხოლო არფანგ დაფემ იმ დროს გაიტანა, რომ ყველაფერს თავის ადგილზე დააყენა.

<u>ლოკომოტივი-დინამო (ბთ) 2:1</u>

თბილისი. მიხეილ მესხი 2

1:0 სიხარულიძე (52), 1:1 ტეიდი (90), 2:1 სიხარულიძე (90პ)

ლოკომოტივი: ბულესკირია, გურეშიძე, სამურკასოვი (გვალია 56), ჭანტურია, შონია, კიკაბიძე (ინჯგია 66), კომახიძე, სიხარულიძე, თ.კირკიტაძე (გოროზია 73), დარცმელია, გაბაძე

დინამო: ალავიძე, ტეიდი, ჯიღაური, მანჯგალაძე, ფლამარიონი, კობახიძე, გეგეჭკორი, ჯანელიძე (თევდორაძე 46), ნავალოვსკი (ჩალაძე 68), გაგოშიძე, რამოსი (გაფრინდაშვილი 68)

ბათუმის დინამოს საჩემპიონოდ მხოლოდ ერთი შანსი ჰქონდა – თავად უნდა მოეგო, ხოლო დინამოს ქულები უნდა დაეკარგა ვიტ ჯორჯიასთან. საბოლოოდ, ყველაფერი პირიქით მოხდა და ზღვისპირელებმა ტიტული დედაქალაქელებს დაუთმეს.

მიუხედავად იმისა, რომ ლოკომოტივი უმოტივაციო იყო, მოედანზე საბრძოლო შემადგენლობით გავიდა და მოიგო კიდეც. ირაკლი სიხარულიძემ ორჯერ გაიტანა, მის გოლებს შორის კი თავი ბენჯამინ ტეიდმა გამოიჩინა.

<u>ტორპედო-ჩიხურა 1:2</u>

წყალტუბო. 26 მაისი

0:1 მარკოზაშვილი (15). 1:1 ჩუკვურა (25), 1:2 მაისაშვილი (48)

გაგრძელება მე-7 გვერდზე

ჯოსვოხდი



თარაზულად: 6. ყარყატების ოჯახის ფრინველი; 7. ჭადრაკის პარტიის ბოლო სტადია; 8. ერთგვარი ძეხვი; 10. ხელის მტევნები, ჭურჭლის ფორმით მოხრილი; 11. მილიონერთა შვილების მოტაცება ფულის გამოძალვის მიზნით; 13. ქუჩის სანათი; 16. ქალაქი შვეიცარიაში; 19. სამხედრო-საზღვაო ფლოტის უმაღლესი მეთაური; 20. ყვავილების წნული.

შვეულად: 1. კლავესინის კლავიატურა; 2. კათოლიკური მამათა მონასტრის წინამძღვარი; 3. სიმსივნეების მკურნალი; 4. დაგირავებული უძრავი ქონება; 5. აზოტმჟავის მარილები; 9. მცირე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული; 12. ნავთობის გამოხდის თხევადი პროდუქტი; 14. საგნის მონახაზი; 15. მდინარე აღმოსავლეთ საქართველოში; 17. სასწავლო დაწესებულება; 18. დიდი ზომის ანტილოპა.

შეადგინა ოლივერ კოხიამ